XXVII 7000 7—8 XXVII

ეროვნული ბიბლიოთეკა




ივლისი და აგვისტო 1916 წ.

# შინაარსი

## ჟურნალ „ჯეჯილისა“


I ეკატ. ივ. სარაჯიშვილისა. სურათი. . . . . . 386
II მუშა ქალი ლექსი მიხ. გერმანაშვილისა . . . 387
III ჭიანჭველა და ტრედი . . . . . . . . . 388
IV წინ დახედული ადამიანი . . . . . . . . 389
V ვასიკოს დარდი ბაგრატ ბეთანელისა . . . . 390
VI მეზობლები ლევ ტოლსტოისა (თარგმანი) . . 394
VII კაკლის ხე და თხილი (იგავ-არაკი) ი. სიხარულიძისა . . . . . . . . . . . 397
VIII კოწო და მისი ნაცნობები (თარგმანი) გაგრძელება იქნება. ან. წერეთლისა, . . . . . . 400
IX ვანოს გულწრფელობა ედუარდ პაპავასი . . . 418
X წვრილმანი: ანდაზები, გამოცანები, ჩქარა გამოსათქმელი, აკროსტიხი, შარადა და ალსნა . . 420

XI დავით სარაჯიშვილი და მეუღლე მისი ეკატერინე. ან. წერეთლისა . . . . . . . . 423
XII პაპა ლექსი შიო მღვიმელისა . . . . . 425
XIII რაინდი ტრისტანი [illegible]ული ლეგენდა (თარგმანი) თამარ კარბელაშვილისა . . . . . . 428
XIV ფასდაუდებელი თავგანწირულობა (გადმოღებული) ან. წერეთლისა. . . . . . . . 431
XV მეკურტნეს სიმღერა, ლექსი მიხ. გერმანაშვილისა. 438
XVI ალექსანდრე ნათაძის ხსოვნას ივ. რატიშვილისა. 439
XVII ოქროს შეხება, (შემდეგი იქნება) თარგმანი ან. წერეთლისა . . . . . . . . 441


„ჯეჯილის“ რედაქცია სთხოვს ყველას, რომ მის დაუკითხავათ ჟურნალიდან არაფერი არ გადაბეჭდონ.

**რედაქცია უმორჩილესათ სთხოვს ხელის მომწერლებს ვისაც ხვედრი ფული არა აქვთ შემოტანილი—დააჩქარონ გამოგზავნა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ჯეჯილი

საყმაწვილო ნახატებიანი

## ჟურნალი.

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო!.

ღ.

ივლისი და აგვისტო, 9161 წ.

წელიწადი მეოცდაშვიდე

თ ბ ი ლ ი ს ი
ელექტრომბეჭდავი „შრომა", მუხრანის ქ. № 12.
1916

ეროვნული ბიბლიოთეკა



სასიქადულო მანდილოსანი

**ეკატერინე ივანეს ასული სარაჯიშვილისა.**

38/2
ეროვნული ბიბლიოთეკა

# მუშა ქალი.

სიმინდები გაითოხნა,
დასდგომია დრო სამკალსა.
გლეხის ქოხში ვეღარ ნახავ
ვერც კაცსა და ვეღარც ქალსა.
ჭინჭველივით მოსდებიან
მუშა კაცის ნაოფლარსა—
რიგი მიდის სათიბავათ,
რიგი პურს მკის თავანკარსა,
რიგიც ჰფურჩქნის იქ, ვენახში,
ან ფოცხს უსვებს ნამჯაშია..
ვერა ქალი ვერ აჯობებს
ჩვენ ქალს შრომა გარჯაშია:

ერთი შეხე ქართველ დიაცს,
მასე ერთი როგორ კაცობს,—
ხელში ნამკალს ატრიალებს,
ხელეურსაც რიგზე აწყობს.

ყური უგდე იმის ღიღინს!
დახე ერთი მის ნამკალსა!..
ვაშა, ვაშა! ქართველ დედას!
ვაშა იმის მომავალსა!

**მიხ. გერმანაშვილი.**

388

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ჭიანჭველა და მტრედი.



ჭიანჭველამ გასწია წყაროსაკენ წყლის დასალევათ. წყალმა გაიტაცა. ის იყო იხრჩობოდა. ამ დროს მტრედს მიჰქონდა ხის პატარა ტოტი. მან დაინახა რომ ჭიანჭველა იხრჩობა და წყალში გადუგდო ხის ტოტი. ჭიანჭველა ტოტზე აცოცდა და თავი გადაირჩინა.

მონადირემ დაუგო მტრედს მახე და უნდა დაეჭირა. ჭიანჭველა მიცოცდა მონადირესთან და ფეხზე უკბინა. მონადირემ შეჰკივლა და მახე ხელიდან გაუვარდა. მტრედსაც ეს უნდოდა. ფრთები გაშალა და გაფრინდა.



389
ეროვნული ბიბლიოთეკა

# წინ დახედული ადამიანი.

მოხუცებული ბაღში ხეხილს რგავდა. გზათ გამვლელმა უთხრა:

— ნეტავი რაზე იწუხებ თავს? შენ ხომ არ მოგესწრება! ნაყოფს ხომ ვერ იგემებ!

მოხუცებულმა ამაზე უპასუხა:

— მე რომ არ მომესწრობა, მერე რა ვუყოთ! სხვები ხომ შესჭამენ და მადლობით მომიხსენებენ.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ვასიკოს დარდი.



ვასიკო ცქრიალა, ლამაზი და მალხაზი ბავშია. ამიტომაც მას სახლში „ცუნცრუკას“ ეძახიან. ვასიკო ჯერ სამი წლისაც არ იქნებოდა, რომ მამა მოუკვდა და დედის ძმებთან იზრდება. ბიძები ვასიკოს არაფერს აკლებენ, დიდედა ხომ თავისი ზღაპრებით ვასიკოს თითქმის ყოველ საღამოს უმასპინძლდება ხოლმე. ერთი სიტყვით, ვასიკოს ობლობა არც კი უგრძვნია.

ვასიკო ექვსი წლის ძლივას იქნებოდა, რომ ბიძებს აუტუდა, წერა-კითხვა მასწავლეთ, რომ მეც თქვენსავით წიგნები ვიკითხოვო. დედას ხომ მოსვენებას არ აძლევდა:

— დედილო, შენ გენაცვალე, ლა იქნება, ლომ მეც მასწავლოთ წიგნი?.. აი მეზობლიანთ შალიკო კიდეც კითხულობს.

— დაიცა, შვილო, ჯერ კიდევ დრო არა გაქვს, როცა შვიდი წლისა შესრულდები, სკოლაში მიგაბარებ და იქ ისწავლი.

ვასიკო მაინც თავისას გაიძახოდა, წერა-კითხვა ეხლავ უნდა შემასწავლოთო, და ანბანი აუიდვინა. წიგნის დანახვაზე ვასიკო სიხარულით ცას დაეწია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა კი დარწმუნდა, რომ ისიც მალე შეისწავლიდა კითხვას და ისევე იკითხავდა წიგნებს, როგორც მისი მოზრდილი ამხანაგები. სულ იმის ფიქრში იყო, როდის შევსრულდები შვიდი წლისა, რომ მეც სკოლაში ვიაროვო. დედას მოსვენებას არ აძლევდა და ყოველ დღე ეკითხებოდა:

— დედილო, გენაცვალე, ნეტა როდის ვიქნები შვიდი წლისა?—ამასთანვე თითებსაც ჩათვლიდა და შვიდ თითს უჩვენებდა,—აი ამდენისა, ამდენისა! ელთი, ოლი!.. და კიდევ ხელახლა თითების თვლას მოჰყვებოდა.

ვასიკოს ამასთანავე ისიც უნდა შეეტყო, შვიდი წლისა რომ შევიქნები ტანით რამხელა გავიზრდებიო. მალი-მალ ხელს ზევით აიშვერდა და დედას ეკითხებოდა:

— ამხელა ვიქნები შვიდი წლისა? აი ამხელა. რამხელა ვიქნები? შალიკოს ხელა? მისაკოს ხელა?.. და აქ ჩამოთვლიდა მოზრდილ ამხანაგების სახელებს.

ვასიკოს მეზობლათ ერთი მაღალი ტანის ახოვანი ექიმი ცხოვრობდა—„ადამიჩი“. ვასიკოს ისიც უნდა შეეტყო, ადამიჩის სიმაღლე როდის შევიქნებიო. იქვე ცხოვრობს მამულის მოიჯარადრე, სქელი და მუცელ გაბერილი კაცი. ვასიკოს თვალებს არც ეს გამორჩა: ხშირათ მუცელს გამოიბერავდა ხოლმე, წელში გადიზნიქებოდა, ისე გაივლ-გამოივლიდა და თან ამხანაგებს შეეკითხებოდა:

— ახლა ხომ ვგევარ იმ გაბერილ კაცსო?

ვასიკომ რამდენიმე თვეში კითხვა უკვე შეისწავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა, მაგრამ წერაში სუსტი იყო, ზოგ ასოს უკუღმა დასწერდა ხოლმე. სულ იმის ფიქრში იყო, შვიდი წლისა როდის შევსრულდები, რომ სკოლაში მიმაბარონ და წერა-კითხვაც უკეთესათ შევისწავლოვო, დღე-დღეზე ელოდა.

აგერ ზაფხული კიდეც განახევრდა და ვასიკოს თვე ნახევარი და დარჩა სკოლაში მისვლამდის. ამ დროს დიდი ომიანობა ასტყდა. ვასიკოს უმცროსი ბიძა სანდრო ჯარში გაიწვიეს. მეორე ბიძა შაქრომ ვასიკო ზაფხულის გასულს სკოლაში მიაბარა და პატრონობდა, მაგრამ ესეც მალე გაიწვიეს ომში და ვასიკო მხოლოთ დედის და დიდედის ამარა დარჩა. მოაკლდა ბიძების ალერსი. ბევრჯერ უნახავს დანაღვლებული დედა და აცრემლებული დიდედა. როდესაც ესენი თვალცრემლიანები ხატის წინ ღმერთს შესხოვენ ომში წასულთა მშვიდობით დაბრუნებას, ვასიკოც მათთან ერთათ ღმერთს ასე ევედრება:

„უფალო ჩემო, უფალო! არ გებრალები? შემიბრალე, ნუ დამტოვ ობლათ, მშვიდობით დამიბრუნე ჩემი საყვარელი სანდრო-ძია და შაქრო ძია, კარგათ ამყოფე...

ბიძები წერილში მუდამ იწერებოდენ, ვასიკოს ყური უგდეთ, რომ კარგათ ისწავლოსო. ვასიკოც სულ იმის ცდაში იყო კარგათ ესწავლა წერა, რომ წერილი თვითონ მიეწერა. მართლაც ბეჯითი და ნიჭიერი ბავში გამოდგა. სკოლაში სრულებით არ ცუღლუტობდა და მასწავლებელს გულდასმით უსმენდა. ასეთი სიწყნარისათვის ამხანაგებმა პატარძალი დაარქვეს.

სასწავლო წლის დამლევს ვასიკო მეორე განყოფილებაში გადავიდა და ასეთი წერილი მისწერა ბიძებს:

„საყვარელო და მუდამ მოსაგონებელო სანდრო მიაჯან! ჩვენ მშვიდობით კარგათ ვართ, მხოლოთ შენი უნახაობა გვაწუხებს. მე მეორე განყოფილებაში გადაველი, მე არაფერი მიშავს, ნეტავი შენ და შაქრო მია კარგათ მყავდეთ. ნეტავი მალე შინ მშვიდობით დავბრუნდეთ, რომ ყელზე მოგეხვიოთ და გადაგკოცნოთ. სულ უფალს იმას ვეხვეწები, რომ თქვენ კარგათ იყოთ. შენი დისწული ვასიკო.

ასევე მისწერა ვასიკომ მია შაქროსაც. ეხლა ვასიკო უკვე მეორე განყოფილებაშია და სულ იმას ნატრობს, რომ ბიძები კარგათ შევანდესო და ღმერთს ევედრება მათ დღეგრძელობისათვის.

**ბაგრატ ბეთანელი.**



# მეზობლები

(ლჳ. ტოლსტოისა).



ერთი მდიდარი და ერთი ღარიბი მეზობლათ ცხოვრობდენ. მდიდარი უდარდელათ, ტკბილათ და მხიარულათ ცხოვრობდა. გემრიელი ჭამა-სმა ჰქონდა, ფული აუარებელი. ყოველ დღე გათენებამდის სტუმრები მასთან ქეიფობდენ, დროს ატარებდენ. ყველაფრით ბედნიერი იყო, მხოლოთ ერთი რამე აწუხებდა—ძილი არა ჰქონდა. მდიდარი კაცი გაისტუმრებდა თუ არა სტუმრებს ჩაწვებოდა მოსასვენებლათ თავის რბილ ქვეშაგებში—ძილი კი არ ეკარებოდა. სულ ელანდებოდა, რომ სიმდიდრეს ეს არი მოსტაცებენ: ეშინოდა ქურდებისა და ღვთისა და ადამიანის სასჯელისა. როდესაც გათენებისას ძილი მოუვიდოდა, მაშინ მისი ღარიბი მეზობელი სამუშაოთ წამოდგებოდა. ის იყო ხარაზი. თავის საქმეს მიუჯდებოდა თუ არა, მოჰყვებოდა სიმღერას. ხმაურობა მდიდარს ძილს უფრთხობდა. ჯავრი მოსდიოდა, არ იცოდა როგორ გადაეჩვია მეზობელი რომ არ ემღერა. უბრძანო—არ გამიგონებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიქრობდა. ვთხოვო — შეაყენებს სიმღერას, მაგრამ ცოტა ხნით. ბოლოს მდიდარმა მოიგონა, როგორ ჩააჩუმოს მეზობელი... ხარაზი დაიბარა. ისიც მივიდა. მდიდარი მიესალმა და დაუწყო გამოკითხვა:

— როგორ მიდის შენი საქმეები, მეზობელო?

— ღვთის მადლით კარგათ, უპასუხა ხარაზმა.

— გეტყობა ბედნიერი ხარ, რომ დილიდან საღამომდე მღერი, ეუბნება მდიდარი.

— ბედს არ უჩივი: საქმე ბევრი მაქვს, ცოლი ახალგაზრდა მყავს, არა გვიჭირს რა, კარგათ ვცხოვრობთ. უპასუხა ხარაზმა.

— ფული გაქვთ?

— არა. ხარჯს არ გადავგვრჩება ხოლმე.

— გინდა რომ მდიდარი იყო? ჰკითხა ხელ-ახლათ მდიდარმა.

— ვის არ უნდა სიმდიდრე. შენ ხომ გიამება რომ მდიდარი ხარ. არც ჩემთვის იქნება ურიგო სიმდიდრე — უთხრა ხარაზმა.

მდიდარმა ამოიღო ჯიბიდან ფულით სავსე ქისა, მისცა მეზობელს და უთხრა:

— დაიჭი, ჩემო მეზობელო, ღმერთმა მოგასმაროს. იცოდე, ამ ფულს ნუ გაფლანგავ, შავი დღისთვის შეინახე.

ხარაზმა გამოართვა ფული, მადლობა გადუხადა და საჩქაროთ სახლში გაიქცა. მირბის, თან აქეთ იქით იცქირება. ქისას კალთას აფარებს, არავინ დამინახოსო. ეზოში ერთი მიმალული ადგილი ამოარჩია და როდესაც დაღამდა ჩაფლა შიგ ფული.

დაწვა ხარაზი დასაძინებლათ, მაგრამ ძილი არ ეკარება. სულ ყურს უგდებს. ყოველი შრიალისა ეშინიან: თაგვის ფხაკუნი, კატის მიპარვა — ყველაფერზე კანკალებს, კრთება — ჰგონია მის შენახულ ოქროებს ქურდები ეპარებიან. ხარაზს აბა რაღა ძილი მიეკარება. დღე კიდევ არაფერი — გაივლის, ღამე სწორეთ ტანჯვაა.

სიცოცხლე აღარ იყო უბედურისათვის, დღეები ჩაუმწარდა. რამდენიმე დღე ასე იტანჯა, მერე ვეღარ მოითმინა, შენახული ფული ამოთხარა მიწიდან და მიუტანა მდიდარს.

— მადლობელი ვარ მოწყალებისათვის, შენი ფული უკანვე მიიღე. მაგან კინაღამ სრულებით დამღუპა.

(თარგმანი)



ეროვნული ბიბლიოთეკა

# კაკლის ხე და თხილი.

(იგავ-არაკი)



ეზოში იდგა კაკლის ხე
უზარმაზარი ტანადა,
წვერი სულ მაღლა მიჰქონდა,
თითქო ცათ ასატანათა;

გრძელი, მსხვილ-მსხვილი ტოტები
შორს ჰქონდა გადაწვდილია,
თითქმის მთელ ქცევას ფარავდა
ზაფხულში მისი ჩრდილია,

ნაყოფი სადი იცოდა —
— კაკალი — სავსე, მსხვილია,
შურით აღვსილი შესცქეროდა
მას მოშორებით თხილია.

ერთხელ, როდესაც თხილს სიომ
ჩამოუქროლა ქშენითა,
ფოთლების შრიალ-ჩურჩულით
კაკლის ხეს უთხრა წყენითა:

„ნეტავი შენს ბედს, კაკლის ხევ,
ცაში ხარ ატყორცნილაო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზის სხივებს ეალერსები,
ძირს გაგიშლია ჩრდილიო.

სხვაგან რო სიცხის ბუღი სდგას
შენს ქვეშ ჰქრის სიო გრილიო,
ყველას იზიდავს შენს ძირში
მოსვენება და ძილიო.

ნაყოფი სადი, მსხვილი გაქვს,
და არა, ჩვენებრ წვრილიო;
ჩვენ კი, რაღა ვართ თხილები,
მუდამ ძირს თავდახრილიო.

კაცის სიმაღლე ვიზრდებით,
თუნდ გავსძლოთ ასი წელიო,
მიტომაც ჩვენს ტოტთა სამტვრევათ
ყველას უწვდება ხელიო.

მართალი რომ ვსთქვათ, ჩვენაც ხომ
თქვენი ჯიშის ვართ, — თხილიო,
ნაყოფი ერთი გემოს გვაქვს
გემრიელი და ტკბილიო.

ვერ გამიგია, რათ არის
შენი ნაყოფი მსხვილიო,
რათ არ ვართ სუყველაფერში
ჩვენ თანასწორი — წყვილიო“.

კაკლის ხემ უთხრა: „ჰო, მესმის
რაზედაც მოსთქვამ, სტირიო,
ერთი მითხარი, მიწაში
რა სიღრმეზე გაქვს ძირიო?“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხილმა მიუგო: „მიწის გულს
მე სულ ცოტაზე ვსწვდებიო,
გან-განზე მიმაქვს ფესვები,
მის სიღრმეს ვერიდებიო“.

მაშინ კაკლის ხემ მიუგო:
„ეხლა მეც მიგდე ყურიო,
თუ კი ხარ ჭეშმარიტების
გაგების მონაწყურიო:

ხე, რომელიც რომ ფესვებით
მიწის გულს ღრმათ ვერ სწვდებაო,
ის ვერც კარგს ნაყოფს მოიღებს,
და ვერც დიდს გაიზრდებაო.

ქარიც ადვილათ ამოთხრის
რისხვით რო მოაწყდებაო,
არც ფიცრათ ვარგა... კარგია
თუ შეშათ გამოდგებაო“.

უთხრა, დადუმდა კაკლის ხე...
თხილმაც ძირს თავი დახარა,
მას შემდეგ კაკლის ხისათვის
შეუჩივლია მას არა!

ი. სიხარულიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კოწო და მისი ნაცნობები.



ოწო დაიბადა სოფელში. მისი მამა პავლე აზნაურის შვილი იყო და სოფელში მამულს უვლიდა. დილა ადრიანათ მუშებთან ერთათ გადიოდა მინდორში. უყურებდა როგორ ხნავდენ, როგორ მკიდენ და ლეწავდენ პურს. ყურს უგდებდა შინაურ საქონელს: ხარებს, ცხენებს, ძროხებს, ცხვრებს, რომ მათთვის კარგათ მოევლოთ — დროზე ეჭმიათ და წყალი დაელევინათ. დილა ადრიანათ რომ სახლიდან გავიდოდა მხოლოთ დაღალულ-დაქანცული იმ დროს ბრუნდებოდა, როდესაც კოწოს ძილის დრო იყო. ამიტომ კოწო იშვიათათ ხედავდა მამას. დედა კი, ელენე, ყოველთვის სახლში ტრიალებდა და ოჯახს უძღვებოდა: ძროხა დღვებამდა, მაწონს ადედებდა, ხშირათ სადილის გაკეთებაც უხდებოდა. საცვლებს ჰკერავდა და დაგლეჯილებს საკერებელს ადებდა.

კოწოს მომვლელები არა ჰყავდა, თავისუფლათ გლეხის გოგო-ბიჭებში იზრდებოდა. სანამ პატარა იყო დედის კალთას არა შორდებოდა, სულ უკან

დასდევდა. შევიდოდა დედა საკუჭნაოში — ისიც შეჰყვებოდა, დედა რომ ფქვილს, სიმინდს, მარილს, ქონს სწონდა ხოლმე, კოწო იქვე იდგა და პირ-დაღებული თვალს არ აშორებდა და ფიქრობდა: ფქვილი სუბუქია და ამიტომ ბევრი უნდა დააყარონ ასაწონათ, რომ ფუთი აიწონოს. ხორბალი უფრო მძიმეა და ასაწონათ ნაკლებს დააყრიან. აი დედა ქათმებისაკენ გაემართა, კოწოც წაჰყვა. დედასთან ერთათ საქათმიდან კვერცხები გამოაქვს, წიწილებს საკენკს უყრის. საღამოზე როდესაც მინდვრიდან ნახირს მოლალამდენ, ძროხებს სწველდენ და ელენე მივიდოდა დასახედათ, კოწოც აიღებდა ხელში წკეპლას ხბოს მოსაგერებლათ, ჩაეჭიდებოდა დედის კალთას და ისე გაჰყვებოდა. რა გემრიელი იყო პურ-ჩაყრილი რძე! მაგრამ ახალ გამომცხვარ პურის სუნზე ხბოები და დეკეულები რომ გაიშვერდენ პირს კოწოს შეეშინდებოდა.

როდესაც კოწო მოიზარდა, დედის კალთას ჩამოსცილდა და ყველგან მარტო დადიოდა. წავიდოდა ბაღში, მინდორში, ტყეში, მდინარეზე. ყველაფერს დააკვირდებოდა, ყველაფერს შეამჩნევდა. ტყეში სხვა და სხვა ხეები იდგა. ზოგ ხეებს ფოთლების მაგივრათ ნემსებივით მწვანე ღეროები ასხია, მოწითლოა და სცვივა კინკრიჭოები, ეს ხეები ფიჭვია. მეორე ხეებს ნაზი ფოთლები აქვს — განიერი, პრტყელი — ეს ხე არის ნაკერჩხალი. აი მრავალ ტოტებიანი მუხაც. შემოდგომაზე ამ ხეს რკოები სცვივა და მერე იმითი თამაშობა რა კარგია! აი ნიგვზის ხეც, ზედ გემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიელი კაკალი ასხია ხოლმე. მინდორში ლამაზი პეპლები დაფრინავენ. მოჩანს სხვა და სხვა მწერები. მაღალ ბალახში დასრიალებენ ხვლიკები, გველებივით იკლაკნებიან. კურდღელმა გაირბინა და თვალის დახამხამებაზე სადღაც მიიმალა. ტოროლები გალობენ. მდინარეში სხვა და სხვა თევზებია, საგუბარში ბაყაყები ყიყინებენ. ყველაფერს ხედავს კოწო, ყველაფერს უკვირდება.

ჯერ სულ პატარა რომ იყო, ოთხი წლისა იქნებოდა, მამამ ერთხელ ქალაქიდან კარდონის (სხვილი ქაღალდის) დიდი ცხენი მოუტანა. კოწომ ახედდახედა. არა უშავდა რა, ცხენი იყო, როგორც ყველა ცხენი: თავი ჰქონდა, ოთხი ფეხი, კუდი. კოწომ ზურგზე გადაუსვა ხელი, შეჯდა ზედ, მათრახი დაჰკრა—ცხენი არ დაიძრა. კოწომ მოუტანა თივა. ცხენმა არც კი შეხედა თივას. კოწოს გაუკვირდა. ნამდვილი ცხენი, როდესაც ამისთანა მშვენიერ თივას მიუტანენ, მაშინვე დასუნავს და პირში ჩაიდებს, დაიწყებს ღეჭვას ისეთ ნაირათ, რომ ღრაჭუნი გააქვს, ამ ცხენმა კი პირთანაც არ მიიტანა.

კოწო ხედავს რომ აქ საქმე სხვა ნაირათ არის, უნდა მიეშველოს ცხენს. დაუწყო პირის გაღება, აბა რას გაუღებდა, მაშინ პირი გაუხია და შიგ თივა ჩაუტენა. მერე მოიტანა დოქით წყალი და ცხენს ჩაასხა პირში.

ცოტა ხნის შემდეგ კარდონის ცხენის მუცელი მოლბა, ფეხები მოეგრიხა, წყალი იატაკზე წამოვიდა. კოწომ დიდი ყურადღებით გასინჯა ცხენი, მერე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუცელი გაუხია და ნახა რომ მისი მიტანილი თივის მეტი შიგ არაფერი იყო.

ამ დროს ოთახში დედა შემოვიდა და რომ ნახა რა დღეში ჩაუგდია კოწოს მამის ნაჩუქარი ცხენი წამოიძახა:

— შე ცელქო, ეგ რა გიქნია, რა დღეში ჩაგიგდია შენ ცხენი?

— მე ვაჭამე, დედილო, უთხრა შვილმა,—შიოდა, მაგრამ მუცელი რაღაც სხვანაირია, შიგ თივის მეტი არაფერი ჰქონია.

დედა მოჰყვა დარიგებას, რომ სათამაშოებს უნდა გაუფრთხილდეს, არ გატეხოს, იმითი მხოლოთ უნდა ითამაშოს. ეტყობოდა დედას შეწუხება, რომ კოწომ ცხენი ასე გააფუჭა.

კოწო კი იდგა გაფუჭებულ სათამაშოსთან და ფიქრობდა:

დედა ჩემს რათ ენანება ამისთანა ცხენი? ეგ ხომ ცოცხალი არ არის. განა ჩემი ბრალია, რომ მუცელი დაულბა? რამ აეიდვინა მამა ჩემს მაგისთანა საძაგელი ცხენი, რომელიც ასე მალე გაფუჭდა?

როდესაც დედა მოშორდა, კოწომ ფეხი ჰკრა ცხენს და გასწია სხვა უფრო კარგი სათამაშოების საძებნელათ, რომლებიც ასე ადვილათ არ გაფუჭდებოდენ.

საღამოზე, როდესაც დედა აძინებდა კოწოს, ამან ჰკითხა:

— დედილო, ის ცხენები, რომელნიც საჯინიბოში არიან-სჭამენ და სვამენ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რასაკვირველია, უთხრა დედამ.

— ისინი, რომელნიც ეზოში არიან?

— ისინიც სჭამენ და სვამენ.

— დიდხანს რომ არ სჭამონ და არა სვან, მაშინ რა დაემართებათ?

— მაშინ სიმშილით მოკვდებიან.

— ხედავ! შენ კი მიჯავრდები, უთხრა კოწომ ნიშნის მოგებით.

დედამ ჯერ ვერ გაუგო რაზედ ეკითხებოდა, მაგრამ დილანდელი ამბავი რომ მოაგონდა-გაეცინა.

— მე სულაც არა ვჯავრობ, ჩემო ბიჭიკო, უთხრა მან,—არ მეგონა რო მაგისთანა მზრუნველი მეოჯახე იქნებოდი.

— ახლა ხომ იცი, წამოიძახა კოწომ, ჯერ უნდა ვიფიქროთ და მერე ვილაპარაკოთ.

დედამ საშინლათ გადიხარხარა და სიყვარულით გადაკოცნა შვილი. ამ სიტყვებს ხშირათ თვითონ დედა ეუბნებოდა იმას.

მერე ელენემ ჰკითხა:

— მუცელში რა უპოვე სათამაშო ცხენს?

— მხოლოთ თივა და წუალი, უთხრა შვილმა.

— ნამდვილ ცხენს რა უნდა ჰქონდეს მუცელში? ხელ ახლათ დაეკითხა დედა.

— იმასაც თივა ექნება, საჭმელათ რომ მისცემენ.

— მერე რა მოუვა თივას ცხენი რომ შესჭამს.

კოწოს ეს აქამდის ფიქრათაც არ მოსვლია.

— გახსოვს ცხენი რომ მოგვიკვდა? მუცელი რომ გაუჭერით, რა ნახე მუცელში?

— ხო, ხო, მახსოვს, დაიყვირა კოწომ.—მუცელში ისეთი გრძელ-გრძელი ლურჯი ჩვარივით, ლულასავით დახვევული რაღაც იყო, შენ რომ მითხარი წელებიაო. კიდევ რაღაც იყო ჩალთების მსგავსი.

— სწორეთ ეგ ჩალთები ცხენის მუცელია, უთხრა ელენემ,-როდესაც ცხენი საჭმელს კბილებით დაღეჭავს და გადაყლაპავს ის ყელიდან მუცელში ჩადის, მუცლიდან წელებში და იქ მოინელება. საჭმელის კაი ნაწილები, რომელიც საჭიროა ცხენის სხეულისთვის ამ წელებიდან სისხლს უერთდება. უვარგისი ნაწილები კი გამოდის გარეთ. ცხოველი რომ ცოცხლობდეს უნდა საზრდო მიიღოს, თორემ მოკვდება. სათამაშოები არ არიან ცოცხლები, საზრდო არ ესაჭიროებათ და მათ არც ჭამა უნდათ.

— რათ გვინდა ეგ სათამაშოები თუ ცოცხლები არ არიან? თქვა ურჩათ კოწომ, ერთი ამოიოხრა, პირი კედლისკენ იქცია და დაიძინა. მას აქეთ კოწოსთვის აღარ უყიდნიათ სათამაშოები. იმას ცოცხალი სათამაშოები ათასწილათ ერჩივნა.

## კოწოს ციცუნა.

კოწოს ჰყვანდა პატარა ციცუნა. მას ბეწვი სამი ფერისა ჰქონდა: თეთრი, ყვითელი და შავი, პირი რგვალი, დიდრონი ცისფერი თვალები. ძალიან სუფთა იყო. დღეში რამდენჯერმე ილოკამდა თათებს და სველი თათებით პირს და ყურებს უკან იწმენდა. ზურგს და ფერდებს ფრთხილათ ენით ილოკავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიტომაც ბეწვი ყოველთვის სუფთა, მოელვარე ჰქონდა და სასიამოვნო იყო მისი ყურება.

როდესაც ციცუნა ჯერ სულ პატარა იყო მას ორი კნუტი გაუჩნდა. ციცუნა სულელი იყო და არ იცოდა როგორ მოევლო კნუტებისთვის. უსინათლო კნუტები კნაოდენ, სველები იყვნენ, ძლივს დაცოცავდენ. ციცუნა ნაღვლიანათ უჯდა გვერდით და არ იცოდა რა ექნა, მოსამსახურე დედაკაცმა მართამ კნუტები ხის ყუთში ჩაუსვა. ციცუნაც შიგ ჩახტა. ბრმა კნუტებმა მონახეს დედის ძუძუები და მოჰყვნენ წოვას.

ყუთი ვიწრო იყო. ციცუნა შიგ ძლივს იმართებოდა. უსათუოთ ცოტა რძე ჰქონდა, რომ კნუტები კნაოდენ. ციცუნას ვერ გაეგო რათა კნაოდენ. ეგონა რომ სცივათ და ცდილობდა გაეთბო, ზედ დააწვა და დაახრჩო. როდესაც დაინახა რომ აღარ იძვრიან ძალიან შეწუხდა, სუნავდა, თათით ეხებოდა, კბილებით მაღლა სწევდა. როდესაც მიხვდა რომ კნუტები მოუკვდენ, ამოვარდა ყუთიდან და რამდენიმე დღე ნაღვლიანათ დადიოდა.

— სულელო, სულელო, ეუბნებოდა მართა, თან ნიშნის მოგებით თავს იქნევდა, რაზე ჩაახრჩე შვილები.

ამაზე ელენემ უპასუხა:

— ციცუნას ბრალი არ არის. ჯერ სულ პატარაა, თითქმის თითონვე კნუტია, არაფერი არ გაეგება. უნდა დიდი ყუთი მიგეცა, მაშინ კნუტებს აღარ გასჭყლეტდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალე ციცუნა ადრინდელივით გამხიარულდა. ეთამაშებოდა გორგალს, მაფის შულოს, ქაღალდებს, ზოგჯერ ისე გაცელქდებოდა რომ მოჰყვებოდა თავის საკუთარი კუდის დაჭერას, ხტომას, ყირამალაზე გადასვლას.

კოწოს უყვარდა ციცუნა, მაგრამ თანაც ეშინოდა იმისი: ხშირათ კლანჭებს ჩაუერიდა, ფხაჭნიდა, მეტადრე როდესაც თავს მოაბეზრებდა, მართალია მაშინ კოწო პატარა იყო და არ იცოდა როგორ მოქცეოდა პირუტყვებს. ხშირათ მოიტაცებდა ციცუნას, კუდით ათრევდა, ხელს ბეწვზე ისე უსვამდა, რომ ეს მას აჯავრებდა. ციცუნა უსხლტებოდა ხელიდან და თუ ვერ მოახერხებდა მწარეთ ფხაჭნიდა. მაგრამ კოწო არა ჯავრობდა, იატაკზე დააგდებდა და იტყოდა: რა საშინლათ დამფხაჭნე, შე საძაგელო! ყმაწვილი დახედავდა დაფხაჭნილს, წარბებს შეიკრავდა, დაიკრუხუნებდა, ტუჩებზე იკბენდა, მაგრამ ტირილით კი არას დროს არ იტირებდა.

ციცუნას ღამით თავიანთ ოთახში არ ინახავდენ, სამზარეულოში შეჰყავდათ. როდესაც კარში გასვლა მოუნდებოდა–მოჰყვებოდა კნავილს და მართაც გარეთ გაუშვებდა. ერთხელ მართას ისე მაგრათ ეძინა, რომ ვერ გაიგო კატის კნავილი. მაშინ ციცუნამ სკამიდან პირსახოცი ჩამოიღო, გააფუჭა და ცდილობდა ჩაეფლო სადმე ეგონა რომ მიწაა მირს. კატებს ჩვეულებრივ სისუფთავე უყვართ და ყველა სისაძაგლეს მიწაში ფლამენ ხოლმე.

დილით მართამ დაინახა გაფუჭებული პირსახო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცი, ძალიან გაჯავრდა და ციცუნია კარგა ლაზათიანათ მისტყება, მაგრამ ამან არაფერი უშველა. მეორეთაც, როდესაც მართას მაგრა ეძინა ციცუნიამ ხელახლათ ჩაიდინა ეს საქმე. მართა გაანჩხლდა. მან არავის არაფერი უთხრა, ციცუნა ტომარაში ჩააგდო და გამვლელ გლეხს მისცა სადმე-შორს გადამიკარგეო.

კოწო დილით ადგა და გაიქცა სამზარეულოში ციცუნასთან სათამაშოთ. კატა იქ არ დაუხვდა, ძალიან ეწყინა. მთელი დღე დაეძებდა ციცუნას. ელენეც ეძებდა. მართასაც ჰკითხეს, მართამ არაფერი არ გაუმხილა-რა ვიცი სად არისო-თქვა მან.

კოწომ მწარეთ ტირილი დაიწყო, მართალია ციცუნა ფხაჭნიდა, მაგრამ მასთან თამაშობა, სირბილი სასიამოვნო იყო მისთვის.

გავიდა რამდენიმე დღე. ერთხელ ყველანი სასადილო ოთახში პურსა სჭამდენ, მოისმა საცოდავი კნავილი. კოწომ ყური დაუგდო.

— ეს ციცუნას ხმაა! დაიყვირა მან აღელვებით.

და ყმაწვილი წამოვარდა სუფრიდან, მივარდა ფანჯარას. კნავილი მოისმოდა საიდანღაც მაღლობიდან. მან ფანჯრიდან გაჰყო თავი და დაინახა სახურავში ასასვლელი კიბის საფეხურზე საწყალი, გამხდარი, მშიერი კატა, რომელიც საცოდავათ კნაოდა. ელენეც მივიდა ფანჯარასთან.

— ეს ჩვენი ციცუნა არ არის, თქვა მან,-ხედავ რა აბურძგნული და ჭუჭყიანია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოწო კი ყველას არწმუნებდა, რომ ამათი ციცუნაა. უძახდა, ყვიროდა: ციცო, ციცო; მოდი ჩემთან ციცუნა. უჩვენებდა ხორცს, რძეს, მაგრამ კატა არა ბედავდა ძირს ჩამოსვლას, მხოლოთ საცოდავათ კნაოდა.

ელენემ დაუძახა მართას. მართა დააცქერდა და თქვა:

— ეს რა სასწაულია! მართლა და ჩვენი ციცუნა ყოფილა.

და უამბო ყველას, ციცუნამ როგორ გაუფუჭა პირსახოცები, როგორ ჩააგდო ტომარაში და შორს გადააგდებინა.

— არ ვიცი როგორ მოგვაგნო? უკვირდა მართას და დაუწყო ციცუნას ძახილი. ციცუნა კი უფრო და უფრო კნაოდა.

— რა გაეწყობა, მართავ, უთხრა თავის ქალბატონმა, როგორც აწყენინე ციცუნას ისე ახლა ამ კიბეზე ადი და ჩამოიყვანე. ხედავ, ვერ ბედავს ჩამოსვლას. ახსოვს უეჭველია, რა დღეც დააყენე და ეშინიან.

მართას გაეცინა და წამოიძახა:

— რა უცნაურ რამეს იტყვით, ქალბატონო, თითქოს კატა ადამიანი იყოს.

— ცხოველებსაც, როგორც ადამიანებს ახსოვთ შეურაცყოფა, უთხრა ამაზე ელენემ.

მართა ადიოდა კიბეზე და თან უძახოდა: ციცო, ციცო, ციცუნავ.

კატა ქვეშ ქვეშათ შესცქეროდა მართას. იმანაც ფრთხილათ აიყვანა და ნელა-ნელა ძირს ჩამოვიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დროს კოწომ დაუხვედრა ლამბაქით რძე. ციცუნა ძალიან მშიერი იყო და მოჰყვა ლოკვას. კოწო ხელს უსვამდა და სიხარულით იცინოდა.

ამ ამბის შემდეგ მართამ მოისაზრა კარებთან დაედგა ქვიშით სავსე ყუთი და ციცუნა მას აქეთ აღარ აფუჭებდა პირსახოცებს.

შემოდგომაზე ციცუნიას ოთხი კნუტი გაუჩნდა, ახლა ის დაჭკვიანდა. კნუტები ბუხრის უკან მიმალა და არავის ახლოს არ აკარებდა. ერთხელ სამზარეულოში ეზოს ძაღლი შევიდა, ჩვეულებრივ ციცუნას არ ეშინოდა მისი, კაი განწყობილობა ჰქონდა მასთან. მაგრამ ახლა რომ მიუახლოვდა ბუხარს ეს ძაღლი—ციცუნას ზურგზე ბეწვი მაღლა დაუდგა, რგვლათ მოიკაკვა, აიბურძგნა, კუდი აიბზიკა, თვალები გაუბრწყინდა-ნამდვილათ ნადირს მიეგვანა. ძაღლმა ერთი შეხედა და კუდ ამოძუებული სამზარეულოდან გავარდა.

ცხრა დღემ რომ გაიარა და კნუტებმა ცოტ-ცოტა თვალები აახილეს, მართამ გამოასხა ბუხრის უკანიდან, რომ ეჩვენებინა კოწოსთვის და უფრო ფართო ყუთში ჩასვა. ციცუნა მოუსვენრათ შესცქეროდა კოწოს და საბრალოთ კნაოდა. მერე ჩახტა ყუთში, კისერში სტაცა ერთ კნუტს და წაათრია ისევ ბუხრის უკან კუნჭულში, ასევე მეორე კნუტებიც პირით წაათრია ძველ ბინაზე. მას არ უნდოდა რომ ადამიანი მიჰკარებოდა; ალბათ ეშინოდა არ გადამიყარონო.

როდესაც კნუტები მოიზარდენ, თითონვე გამო-

ვიდენ თავიანთ კუთხიდან და აღარც ციცუნას ეში-ნოდა ადამიანებისა. კოწო ცნობის მოყვარეობით შესცქეროდა, როგორ შუა ადგილას სამზარეულოში გვერდზე დედა წამოწვებოდა და ოთხივე კნუტები ხარბათ, ტლაშა-ტლუშით სწოვდენ ძუძუს. როდესაც კნუტები კარგა გაიზარდენ-დედის რძე არა ჰყოფნიდა და დედა მათთვის იჭერდა თაგვებს.

ჩვეულებრივ კატები სანადიროთ ღამღამეობით გამოდიან. დღითი ხმაურობაა და ვერ ბედავენ გამო-სვლას თავიანთ სოროებიდან, ღამე კი, როდესაც ყველას სძინავს და სიჩუმეა, თაგვები უშიშრათ დარ-ბიან, კატის თვალები ბნელაში უფრო კარგათ იხე-დებიან. ყურთა სმენაც მშვენიერი აქვთ, ყოველი ფხა-კანი, ფაჩუნი შორიდანვე მოესმით. შეხებაც კატებს კარგი აქვთ, გრძელი ულვაში მალიან შველის.

ღამე ციცუნა დაჯდებოდა ხოლმე ისეთ ადგილას, სადაც თაგვების სორო ეგულებოდა, სადაც იატაკის ქვე-შიდან, ან კედლის უკანიდან ისმოდა რამე ხმაურობა. ჩუმათ, ჩუმათ ზის ციცუნა, სულ განაბული, თითქოს სძინავსო, კუდსაც კი არ ანძრევს. ზის და სმენათ გადაქცეულია. აი სადღაც თაგვს ფხაჭანი გააქვს, სადღაც შორს იატაკის ქვეშ. ისიც ესმის, როგორ თაგვი ფიცარს ემალადება, უნდა მაღლა ამოსვლა. გარინდებულია ციცუნა, ბჟუტავს თვალებს, იცის რომ თაგვი ახლავე ზემოთ ამოვა. ხმაურობა მიწ-ყნარდა. თაგუნიას თავის პატარა დინგი ნახვრეტი-დან ამოუყვია. ციცუნამ უნდა მოიტაცოს, მაგრამ ეშინიან რომ თაგუნია გაუსხლტება და ისევ სორო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში ჩაძვრება. უთვალთვალებს ციცუნა, უცდის. აი ოდნავ მოისმის ხმაურობა, ნახვრეტის ცოტა მოშორებით. თაგუნა ამოძვრა სოროდან და გარბის, ერთი წამი კიდევ და ციცუნა გამოუდგა.—კბილებში მოიგდო. მერე რა ამაყათ მიაქვს ციცუნას კნუტებთან თავისი დავლა.

კატა პატარა ცხოველია, სხეული ძალიან რბილი აქვს. იგი მარდათ და სწრაფლათ დარბის. როდესაც ჩიტის დაჭერა უნდა კარგა მაღლა ახტება. კატას ერთი საოცარი თვისება სჭირს: რაც უნდა სიმაღლიდან ჩამოაგდოთ ზურგით არ დაეცემა. ჰაერშივე სწრაფლათ გადაბრუნდება და თათებზე დაეცემა. ამიტომ კატებს იშვიათათ ვხედავთ დასახიჩრებულებს.

როდესაც ციცუნიას კნუტები ისე მოიზარდენ, რომ შეეძლებოდათ თაგვების დაჭერა-მეზობლებს ჩამოურიგეს. მხოლოთ ერთი ყველაზე კარგი კოწომ გამოართვა თავისთვის და დაარქვა „ღრუტუნა“.

### ღრუტუნა კატა.

ბევრს ჰგონიათ რომ კატები ადამიანების ერთგულნი არ არიან, მაგრამ ეს ტყუილია.

„ღრუტუნას“ ძალიან უყვარდა კოწო. მართალია კოწომაც არ იცოდა იმის ცემა და წვალება. ეალერსებოდა, აჭმევდა, ლექსებს ეუბნებოდა, უმღერდა. კატები, როგორც ადამიანები სხვა და სხვა ხასიათებისა არიან: მხიარულები და მოღუშულები, ბოროტები და კეთილები, ჭკვიანები და სულელები. ღრუტუნა ჭკვიანი და მედიდური იყო. მას არაფრათ მოსდიოდა თვალში, როდესაც დასცინოდენ. ელენე რომ მუქარით თითს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუქნევდა რაიმე ჩადენილ უწესოებისთვის ღრუტუნა თვალებს მოჭუტავდა, თავს მოიმძინარებდა, თითქოს არც მუქარას ხედავს და არც გაჯავრებასო.

კოწოს ძალიან კარგათ ესმოდა თავის მეგობრის ხასიათი და პატივის ცემით ექცეოდა. ემაწვილს ძალიან გული მოსდიოდა, რომ მართა უპატივცემულოთ უყვიროდა ხოლმე:-შენ ეი ღრუტუნავ! გაგირიგებ საქმეს!

— შენი რა ღრუტუნაა, ეტყოდა კოწო,—მას გული მოსდის, რომ აგრე უძახი.

ღრუტუნა ლამაზი კატა იყო, ძალიან დიდი, კაი ბეწვით და ბანჯღვლიანი კუდით. ამაყათ იცოდა სიარული, აბიჯებდა ნელა-ნელა, წყნარათ. ეს იმიტომ, რომ სიარულის დროს კატები ბრჭყალებს მალავენ. ღრუტუნა თავის დღეში არა ფხაჭნიდა, არა კაწრავდა კოწოს. ერთხელ ეზოში უცხო ძაღლი შემოვარდა და ღრუტუნას მივარდა. კატამ ვერ მოასწრო ღობეზე ასტომა, მოიღუნა ზურგი, აიბურძგნა, გამოუშვა ბრჭყალები, სასტიკათ დაიკნავლა და თვალები აამრიალა. ძაღლს შეეშინდა, კუდი აიბზიკა და მაინც არ დაიშალა, მივიდა ღრუტუნასთან ახლოს. ეს იყო სულელი ლეკვი. მაშინ კი ღრუტუნამ ისე მძლავრათ ჩაჰკრა, ისე დაკაწრა, რომ საცოდავი წკმუტუნით სოფელში გაიქცა.

შორიდან კარგა ხანს მოისმოდა მისი ჭყვირილი.

როდესაც ღრუტუნა პატარა იყო მშვენივრათ იჭერდა ვირთაგვებს. ერთხელ სარდაფიდან ამოვარდა ვირთაგვა. ღრუტუნა მოეწია და უნდოდა დაეჭირა, მაგრამ ვირთაგვა ღონიერი და ბოროტი გამოდგა. ამას კა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტისა სულაც არ შეეშინდა, უკანა თათებზე დადგა და თავისი წვეტი კბილებით მივარდა მას შიგ პირში. ღრუტუნას ძალიან ეტკინა. იმის ალაგას სხვა კატა უსათუოდ გაექცეოდა, მაგრამ ღრუტუნა მშიშარა არ იყო. შეებრძოლა მას: დაუწყო კბენა, ფხაჭნა, ბოლოს დაახრჩო, მერე დიდი ამბით მოიტანა სამზარეულოში და მართას ქვეშაგებზე დადო. მართას ძალიან გული მოუვიდა, მას ეშინოდა ვირთაგვისა არა თუ ცოცხალისა—მკვდარისაც კი და ამიტომ ცოცხით კარგა მისტყეპა ჩვენი ღრუტუნა. ეს უსამართლობა იყო, კატებს იმიტომ ინახავენ რომ მათ გაწყვიტონ თაგვები და ვირთაგვები, რომელნიც სჭამენ ხორბალს, ფქვილს, ქონს და სხვა ხორაგეულს. კატები რომ არ იყვენ თაგვები ისე გამრავლდებიან, რომ ადამიანებს სიცოცხლეს ჩაუმწარებენ. არაფერ ხორაგს არ შეარჩენენ. მერე ღრუტუნა ისე გასუქდა, რომ თაგვებზე იშვიათათ ნადირობდა. ამიტომ მართას არ უყვარდა ღრუტუნა და ყველას არწმუნებდა, რომ ერთხელ თაგვმა სწორეთ ცხვირ წინ გაურბინა ღრუტუნას, მან მოიმძინარა თავი, ზანტათ ერთი თვალით შეხედა და კი ადგილიდან არ დაიძრა. კოწოს არა სჯეროდა ეს ამბავი.

სადილზე ყოველთვის კატა კოწოს გვერდით იჯდა სკამზე და ისეთი შეხედულობა ჰქონდა, თითქოს არაფრათ არ აგდებდა რაც კოწოს თეფშზე საჭმელი მევსო, თვალებს ბჟუტავდა, თითქოს თვლემდა კიდეც. კოწომ კი კარგათ იცოდა თავის მეგობრის ეშმაკობა. თვალით უჩვენებდა თავის საინს, პირში კოვზს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტენდა. მაგრამ ღრუტუნა პირს იბრუნებდა. ამაყი კატა იყო, არ უყვარდა მათხოვრობა.

სამაგიეროთ სადილს უკან, როცა კოწო აიღებდა საინს და დაიყვირებდა: კის, კის! ღრუტუნა ჩამოვარდებოდა წამს სკამიდან, კუდს აიბზეკდა და შურდულივით გაექანებოდა კოწოსკენ, მაშინ კოწოს აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა.

ღამ ღამეობით როდესაც კოწოს ჯერ არ ეძინა და ჩაბნელებულ ოთახში ლოგინში იწვა და დედა მისი კი სასადილო ოთახში ან წიგნს კითხულობდა, ან საქმობდა, კატა ფრთხილათ შეიპარებოდა კოწოსთან, ახტებოდა ლოგინზე, მიადებდა თავის თავს მის თავთან და ღრუტუნით მოიკალათებდა. კოწო მიხვდებოდა რომ ღრუტუნა იმიტომ მივიდა მასთან, რომ მარტოა და ბნელაში არ შეშინებოდა. ყურში მოჰყვებოდა რაღაც ღიღინს, კოწოს არ ესმოდა რას მღერის ღრუტუნა, მაგრამ დარწმუნებული კი იყო, რომ მისი მეგობარი რაღაც სასიამოვნო რამეს მღერის და ამ ტკბილი ღრუტუნის სმენით რა კარგი იყო დაძინება.

კოწოს თავისი მეგობრისა მხოლოთ ერთი რამე არ მოსწონდა — რომ ის ჩიტებს ემტერებოდა. როგორც კი გაზაფხულდებოდა ღრუტუნას მთელი დღეებით კაცი ვერ ნახავდა. ის ხან სახლის სახურავზე, ხან ღობეზე, ხან ხეებზე, მზეზე იჯდა და თბებოდა, თან უთვალთვალებდა ბეღურებს და შოშიებს. მან დააღრჩო ბულბული, რომელიც ყოველთვის გალობდა დედის საწოლ ოთახის ფანჯარასთან. ერთხელ საღამოჟამს ოთახში შემოფრინდა შოშიას ყვითელ ნისკარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიანი ბარტყი. მას ეტყობოდა, რომ ფრენა არ იცოდა კარგათ, დედას უნდოდა დაეჭირა, მან ვერ შეამჩნია ოთახში ღრუტუნა, როდესაც ბარტყი დაბლა-დაბლა წამოვიდა, ღრუტუნა ერთი ნახტომით მივარდა, მოიტაცა და ტახტის ქვეშ შეათრია. დედა-შვილმა ტყუილათ მორთეს ყვირილი. როდესაც ღრუტუნას გააგდებინეს ბარტყი, ის უკვე მკვდარი იყო. ელენემ ერთი კარგათ მიტყება ღრუტუნა. ამ ჯერათ არც კოწომ დაინდო, ისე შეეცოდა შოშიას ბარტყი, მაგრამ ამ დასჯამ არაფერი უშველა. ღრუტუნას თაგვებზე მეტათ—ჩიტუნიებით უყვარდა პირის ჩატკბუნება.

შინაური კატები სჭამენ ხორცს, რძეს, ხაჭოს, პურს. მაგრამ კატები საზოგადოთ გარეული ცხოველები არიან. ტყუილათ კი არა აქვთ იმისთანა წვეტიანი კბილები, იმათი საშუალებით იტაცებენ და ხლეჩენ დავლას. გარეული კატები იკვებებიან ცოცხალი ცხოველებით, რომლებსაც თავიანთ კლანჭებით მარდათ იჭერენ. თვით პატარა კნუტი, რომელიც ქაღალდს ეთამაშება ცდილობს თათით დაიჭიროს, კატა რომ თამაშობს, მაშინაც კი სწავლობს დავლის დაჭერას. როდესაც ღრუტუნა ჯერ სულ პატარა იყო და მუმუს სწოვდა მისი დედა-ციცუნა მოჰგვრიდა ხოლმე თაგვებს რომ იმითი ეთამაშნა. ღრუტუნა თავისი პატარა თათებით იჭერდა. ასე ასწავლიდა დედა ჯერ თაგვების დაჭერას და მერე ჩიტებისას. ღრუტუნა რა დანაშაული იყო რომ ის გარეული მხეცის ჯიშისაა. აგრე დაიბადა და აგრეც დარჩა.

ღრუტუნას კიდევ ერთი საძაგელი ჩვეულება სჭირდა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღამ ღამეობით ადიოდა სახლის სახურავზე და იქ საშინლათ ჩხაოდა და ეჩხუბებოდა უცხოთ მოსულ სოფლის კატებს. ერთხელ დილით იქიდან ჩამოვიდა დაფხაჭნილი, დახეული ყურით, მთლათ გასისხლიანებული. ამაზე კოწო ძალიან შეწუხდა.

— ჩემო ღრუტუნავ, უთხრა მან თავის გაქნევით,— თუ აგრე ცელქობა და თამაშობა გინდა, რატომ დედა შენს არ ეთამაშები. იმან ხომ ჩხუბი არ იცის. ცუდს არას გასწავლის. რას ეთამაშები სოფლის კატებს? ისინი შენ თვალებს გამოგჩიჩქნიან.

ბოლოს დროს, როდესაც კოწო მოიზარდა და დაუამხანავდა სოფლის ბიჭებს და მათთან უყვარდა თამაშობა და დროს გატარება—მიხვდა რატომ იმისი კატა სიამოვნებით ატარებდა მათთან დროს.

როდესაც ღრუტუნა სამი-ოთხი დღით დაიკარგებოდა და შემდეგ დაბრუნდებოდა სახლში მთლათ გასისხლიანებული, გამხდარი, მშიერი, კოწო მაშინვე გაიქცეოდა მართასთან, გამოართმევდა ნაღებს, დაუსხამდა ლამბაქზე და სანამ კატა ხარბათ სლაპავდა უმაწვილი სიამოვნებით შესცქეროდა და თან ჰკითხავდა: „მიგბერტყეს? ძალიან? რომელმა კატამ გცემა? შენ ხომ მაინც გაიმარჯვებდი. შენისთანა ღონიერი კატა ხომ არ მოიპოვება ქვეყანაზე. შენ ვერავინ გაჯობებს? გმირი ხარ, გმირი!

ღამ ღამეობით, როდესაც კატა ღრუტუნით მოუწვებოდა კოწოს, მას ეგონა რომ ის უმღერის თავის საგმირო საქმეებზე, რომელიც მოხდა ამათ სახლის სახურავის ქვეშ.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ვანოს გულწრფელობა.



ეს ჩიტუნიები რა კარგი არიან! ნეტავი ისეთი ბედნიერი გამხადა, რომ ერთი მაინც დამაჭერია, ფიქრობდა ბაღში მჯდომარე ვანო, რომელიც მათი ჭიკჭიკით და ცქრიალით სტკბებოდა. მერე დაღონებული წამოდგა და სახლში შევიდა. მას უნდოდა ერთი ჩიტუნია მაინც როგორმე დაეჭირა.

— ჩემო გოგი, უთხრა მან თავიანთ ბიჭს, შენ თუ რამეს მომიხერხებ და დამიჭერ ჩიტს—სულ შენ ჰატივისცემაში ვიქნები.

ამაზე გოგიამ უპასუხა:

— რათ გინდა ჩიტი! შენ ხელში ხომ არ იცოცხლებს! არა სჯობია რომ ბაღში იჭიკჭიკოს და ჭიკჭიკით ასიამოვნოს ყველა.

— არა ჩემო გოგი, ჩაციებით უთხრა ვანომ,— მე კარგათ მოვუვლი, გალიას ყოველთვის სუფთათ შევინახავ, საჭმელს დროზე დაუყრი, წყალს სუფთას დავალევინებ. ერთი სიტყვით სულ მის მოვლაში ვიქნები.

გოგიას მაინც არ უნდოდა ჩაეგდო ვანოს ხელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში ჩიტი, მაგრამ, რადგან უმაწვილმა მოსვენება არ მისცა—ჩავიდა ბაღში, დაავო მახე და თითონ წავიდა საქმეზე. ვანო აღტაცებული იყო და მოუთმენლათ ელოდა ჩიტის დაჭერას. რადგან ვანო არა სცილდებოდა მახეს ჩიტები ერიდებოდენ და არ მოდიოდენ მარცვლის ასაკენკათ და მას ეგონა, რომ გოგიამ მახე კარგათ არ დაუგო და წავიდა საყვედურის სათქმელათ. სანამ ვანო დაბრუნდა ჩიტი უკვე მახეში გაბმული იყო. ვანოს ისე გაეხარდა, რომ არ იცოდა რა ექნა. მივარდა მახეს, გამოიყვანა ჩიტი და გალიაში მოათავსა.

თუმცა ვანო კარგათ უვლიდა, მაგრამ ჩიტი თანდათან იფუყებოდა, არაფერს არა სჭამდა. დარდობდა ვანო, არ იცოდა რა ექნა. ასე გავიდა ორი-სამი დღე. უმაწვილმა დაატყო, რომ ჩიტი სიკვდილის პირს იყო მიმდგარი და ტირილს მოჰყვა:

— რისთვის ვკლამდი მე ამ ჩიტს, თავისთვის ბაღში თავისუფლათ ცხოვრობდა, ჭიკჭიკობდა, ალხენდა ყველას და ახლა ნაღვლით კვდება.

უცებ მოუვიდა თავში აზრი, მივარდა გალიას, გამოიყვანა ჩიტი და ბაღში სარზე დასვა. თვითონ ვანო შორი ახლოს დადგა და თვალს ადევნებდა.

ჩიტმა მიიხედ-მოიხედა, გაშალა ფრთები და გაჰქრა თვალიდან. ვანოს სიხარულს სამზღვარი არა ჰქონდა. ის თუმცა ყოველთვის ჩიტებს საკენკს უყრიდა, მაგრამ აღარას დროს არ ფიქრობდა მათ დატყვევებას.

ედუარდ პაპავა.



## ა ნ დ ა ზ ე ბ ი.

(წარმოდგენილი არველაძისაგან)

ბედი ხნავს და ბედი სთესავს.

—

ქურდი მთქმელს მიხვდება.

—

მტყუანს კარამდინ მიყევი.

—

მელა კვდებოდა და თავი საქათმისაკენ მიქონდა.

—

სილარიბემ ფარჩის კაბა დამახევინაო.

—

სიცილით დაკარგულს, ტირილითაც ვერ დაიბრუნებ.

—

რომელი ქურდია, რომ მოწმეს ისწრებს.

---

## გამოცანები.

(წარმოდგენილი ალ. იასადაშვილისაგან).

არწივი წივის, მუხნარი კივის,
ლომი ეწევა, ფუტურო სკდება.

—

არ არის ბუჩქი, მაგრამ ფოთლები აქვს,
არ არის პერანგი, მაგრამ შეკერილია.
არ არის კაცი, მაგრამ ლაპარაკობს.

—

ასი ქალი ვარ, ასი კაბა მაცვია,
ქარმა შემომიბერა, კალთა შემომიკეცა.

—

უზუნ უზუნ დადიოდა, უზუნ-ბარაქიანი,
წყლის პირს ჩამოჯდებოდა ქოჩორ ჰალაქიანი.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩქარა გამოსათქმელი.

(წარმოდგენილი გ. დ. ჭრელაშვილისაგან).

ტყეში ნალბანდი შევიდა, ტყე განალბანდებულა.

—

ეგ შენი გურჯაან, ვეჯინ, კეჰა, კოლაკი, შენ თუ გეგურჯაან, ვეჯინ, კეჰა, კოლაკება, თორემ მე არ მეგურჯაან, ვეჯინ, კეჰა კოლაკება.

---

## ა კ რ ო ს ტ ი ხ ი.

(წარმოდგენილი გ. კუხალაშვილისაგან)

ივერიელ სულის დგმა ხარ,
ცვარ-ნამი ჩვენი გულისა,
ოცნებაა შენი ხილვა,
ცასავით სპეტაკ სულის ხარ.
ხელს ნუ გვიხლებ, შორს სიკვდილო,
ლომისამებრ იყავ ღონით,
ერთხელ კიდევ გნატრით ჩვენა
თვალი მოვკრათ თქვენს თვალებსა.
ძვირფასი ხართ და ღმერთსა ვთხოვთ:
იხარო და გვყავდე დიდხანს,
ალმასივით გვიბრწყინავდე,
შაქარივით გწოვდეთ ჯიქანს.
ია-ვარდს გიფენდეთ ყველა,
„ობოლი“ მღეროდეს დელას.

---

## შ ა რ ა დ ა.

(წარმოდგენილი ვანო ჭიჭინაძისაგან)

პირველ რომ სიტყვას ვახსენებთ
ბუნების სტიქიონია,
დალმუის გაჯავრებული
ხმა აქვს არ მოსაწონია.
ზოგჯერ არ ისმის იმის ხმა,
ზოგჯერაც დაიგრიალებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდეს მიუხტეს ხეხილებს
დალეწავს, გაატიალებს.
აქ არ თავდება ეს სიტყვა,
ბოლო კი მოსაჭრელია,
მოჭრილი ასოს მაგივრათ
ასო „თ"-ან დასასმელია.
მეორე სიტყვა მოებმის
სახელი ერთი ადგილის,
მარწყვსა და მაყვალს შეხვდებით,
მნახველი არ ვართ სხვა ხილის.
სოფელზე მოშორებული
ბალახით არი ფენილი,
კურდღელსაც ნახავთ ბუჩქებში
გამორბის ის დარცხვენილი.
სულ ყველა ერთათ მცხოვრები
ორ ზღვათა შუა ერია
ხმალს არ აგებდა ქარქაშში
ირგვლივ ეხვია მტერია.
ცალ ხელში ხმალი ეჭირა
და ცალში კიდევ ჯვარია.
კულტურაც ჰქონდათ ერთ დროზე
მდიდარი საქებარია.

## ახსნა

**გამოცანისა**: აბრეშუმის ჭია.
**შარადა:** დედინაცვალი.
**აკროსტიხი**: ნიკო კუპრაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დავით სარაჯიშვილი და მეუღლე მისი ეკატერინე.

მარიამობისთვის 5-ს გაისმა სამწუხარო ხმა რომ გზათ მომავალი სამკურნალო წყლებიდან სამშობლო ქვეყნის მოსიყვარულე ეკატერინე ივანეს ასული სარაჯიშვილისა უეცრათ სადგურ მლეთში გარდაიცვალა. მასვე მოჰყვა გამოცხადება მეტათ საგულისხმო, იშვიათი ანდერძისა და ამ ანდერძის შინაარსმა ყველა განცვიფრებაში მოიყვანა და სამაგალითო გახადა მისი ხსენება. ეკატერინე სარაჯიშვილმა სამ მილიონამდის შეძლება დაუტოვა ქართველ ერს. ამისთანა იშვიათი ამბავი არა თუ საქართველოში არ მომხდარა—სხვა ქვეყნებშიაც ათასში ერთხელ თუ იქნება. მხოლოთ ამერიკაში იციან ამისთანა გულ უხვობა, მაგრამ იმათი სიმდიდრე ჩვენთან რა შესადარებელია. იქნება თქვან, რომ ეკატერინე იყო ასული პატივცემულ შეძლე მოქალაქისა, ივანე ფორაქიშვილის და მზითვიანი ქალი იყო, მაგრამ რამდენ ქალს ჰქონია მზითევი, რომ ქართველ საზო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადოებას თვალითაც არ დაუნახავს, იქნება ისიცა თქვან, რომ დავითსაც შეძლება დაუტოვა მამამ, ზაქარია სარაჯიშვილმა, მაგრამ რამდენს ჩვენიანს ჰქონია იმაზე ერთი ათასათ მეტი მამა-პაპეული მამული და სულ გაუნიავებია.

ჩემო მკითხველებო! ამ დიდებული ანდერძის შესახებ უნდა ახლოთ გაგაცნოთ დავით და ეკატერინე სარაჯიშვილები. დავითი გარეგნობით თითქოს უდარდელი და დაუდგრომელი ხასიათისა იყო, მაგრამ მისმა მუდმივმა შრომამ, მისმა პრაქტიკულ საქმიანობამ, საფუძვლიან ცოდნამ, გამჭრიახობამ ჩვენში აღადგინა სამრეწველო საქმე. რამდენსამე ქალაქში გახსნა ქარხნები, ჰქონდა დამოკიდებულება სამზღვარ გარეთის მეცნიერებთან და ქარხნების პატრონებთან. ამასთანავე არც ერთ წამს არ ივიწყებდა თავის დაბეჩავებულ ერს და ყოველთვის ყველა ეროვნულ საქმეებს უწვდენდა ხელს, ყველა გაჭირებულს უხვათ შველოდა. ხშირათ დილით ქარხანაში ფეხით მიმავალ დავითს გზაში გადავეღობებოდი და ვთხოვდი რომელიმესათვის დახმარებას. იგი ერთ წამს შედგებოდა „არ მომასვენებ!“ მეტყოდა, მერე მომთხოვდა მისამართს და მე სრული დარწმუნებული, რომ უთუოდ აღმოუჩენს დახმარებას—განვშორდებოდი. ეკატერინე იყო მისი ნამდვილი მეგობარი და ყველა საქმეების სულის ჩამდგმელი. ისინი ორივენი ჩვენს ბედკრულს ერს თავს დასტრიალებდენ. ეკატერინე ამხნევებდა, ჯაფას უადვილებდა თავის მეუღლეს და მასთან ერთად ოცნებობდა ერის ბედნიერებაზე.

ამ ხუთი წლის წინეთ დავკარგეთ მოჭირნახულე დავითი. დარჩა ობლათ დაავადმყოფებული ეკატერინე, მაგრამ თავის ქმრის ნაანდერძევს არ უღალატა, განაგრძო მისი საქმე და ნაყოფი ქართველ ერს მოუძღვნა შესანიშნავი ანდერძის სახით. ტყუილათ კი არ არი ხალხში ნათქვამი: დედაკაცი ააშენებს კიდეც ოჯახსო და დაანგრევს კიდეცო. განა ამისთანა დიადი საქმე უმსხვერპლოთ შეიძლებოდა ხორცით სნეული ადამიანისაგან? მან ამ ხუთ წელიწადში, ამისთანა გაჭირებულ ომიანობის დროს, არა თუ მოაკლო სარჩოს—თითქმის მილიონი შემატა. აი ამისთანა სანეტარო დედაკაცის წინ მთელმა ახალ თაობამ უნდა მუხლი მოიდრიკოს და შთამომავლობამ საუკუნოთ არ დაივიწყოს ეკატერინე.

**ანასტასია წერეთლისა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პ ა პ ა.



მუდამ გართული ბალღებში
და იმათ ალერსს ჩვეული,
წელსაც მარტო ვარ ტუსაღათ
სოფელში გამომწყვდეული.

ბიჭები სამკლათ წაასხეს
ტალიკ-ტალიკი რჩეული,
ერთი ჩავბღავი მიწასა
ძალ-ღონე გამოლეული.

პაწია შვილის-შვილებიც
სხვაგან არიან სოფლათა;
ათას ჭირ-ვარამს ვეძლევი
ფიქრში გართული ობლათა:

აქ რომ გულს ასე მიწყალებს
მეზობლის ფისოს კნავილი,
ვაი თუ იქაც ძუძუნებს
უდედოთ გააქვთ ღნავილი?

კატავ, რას ჩხავი, რას კნავი,
რა მოგივიდა, რა იყო?!
ნუ თუ შენს ბედობაზედაც
ცა და ქვეყანა გაიყო?!

ავდექ და ვნახე ციცუნა
ცოტა რამ სოფელს იქითა,
პატარა პურის ნატეხი
და რძე წაუღე ჭიქითა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცნაურ რამეს ჰხედავენ
ჩემი მოღლილი თვალები,
ფისო ზედ არც კი მიყურებს,
მოკრუნჩხული აქვს პწკალები.

კნავილით დაოსებულსა
ყელში-და გააქვს ხავილი,
წინ უძევს გაციებული
უბედურს გულის ყვავილი.

საბრალოს, ძუძუ გამშრალსა,
ძალ-ღონე გამოლეოდა,
მკვდარ კნუტის ცივი თათები
კისერზე შემოხვეოდა.

არ იშორებდა დედაცა
არც ძალით, არცა ნებითა,
მიმქრალ თვალების გუგები
დამზერდნენ დანანებითა:

შიმშილს მოეკლა ორივე,
როგორც ვგრძნობდი და ვხედავდი,
რისთვის არ მოხველ ჩემთანო
რა პირით გაუბედავდი!

რად არ მივხედე აქამდის
ამასლა ვსინანულობდი
უპურ-მარილო დედაბრის
მე საქციელსა ვწუნობდი,

და რა ვიცოდი რომ პატრონს
მზე ადრე ჩასვენებოდა,
უვაჟკაცებოდ დაცრილსა
გლახა სიკვდილი ხლებოდა.

ათასმა ფიქრმა წამიღო,
ათასმა საგონებელმა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულმა დამიწყო ღონება
მწარე ფიქრების მხლებელმა.

სუყველას მოუპატრონე,
გაუხდი ქირის უფალი,
ამისთვის როგორ წამწყმიდავს
კაცი არის თუ უფალი?!.

შიო მღვიმელი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# რაინდი ტროანი.



(სერბიული ლეგენდა).

ერბიაში სცხოვრობდა რაინდი ტროანი; იგი ტყვეთ ჩაუვარდა ოსმალებს და მასთან ერთად მისი მეგობარიც აიდუნ ველნო.

დაითანხმეს ოსმალებმა აიდუნო, ან იქნება ძალაც იხმარეს—ერთი სიტყვით იგი პოლიციელათ ჩადგა.

ტროანი კი ციხეში ზის... ღამეა... საპყრობილის კედლის ძირში დუნაი მოსჩქეფს .. ჭოტი გულსაკლავათ გაჰკივის.

ტროანს უცებ შემოესმა კარების ჭრიალი... უცებ განათდა და ხედავს ტროანი; კარებში დგას პოლიციელი აიდუნო სანათით ხელში.

ბრაზმორეულმა რაინდმა შეჰყვირა:

— უი, შე შეჩვენებულო, შენა!

აიდუნმა თავი ჩაჰკიდა და ქვითინი ამოუშვა.

— ღმერთი იყოს მოწამე—ამბობს აიდუნი—გგონია ვერ გავიგე რაც ეხლა სთქვი? მეც ხომ სერბიელი ვარ... გაიქეცი, თავს უშველე. მანამ დრო გაქვს... ნავიც მზათ არის მდინარეზე. როდესაც მთლათ მოშორდები ჩვენს არე-მარეს მე განგაშს ავტეხავ, ვითომ ფანჯარა ჩაამტვრიე, დუნაიში გადავარდი და დაიხვრჩე.—აჰა, ქლიბიც... მავთულები გაქლიბე... —დაიფიცე რომ არასოდეს აღარ შეებრძოლები ჩვენს ფაშებს.

— არა, მაგის ფიცს ვერ მოგცემ—უპასუხა ტროანმა,— ქლიბი კი მაინც და მაინც დამიტოვე...

პოლიციელმა ტროანს თვალებზე ცრემლები შეამჩნია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დამიტოვე, — ეუბნება, — ქლიბი... დიდი ხანია რაც ჩემს ფანჯარაში იცქირებიან მწვანე თვალებიანი ალები. კვნესით მოეხლება ხოლმე ტალღა კედელს, ჩემს ფანჯარას ქაფი მოხვდება და დავინახავ თმა გაშლილ ალებსა. ფანჯრის მავთულებს ეჭიდებიან... აიდუნ, თუმცა შესყიდული ხარ და ემსახურები ოსმალოებს, მაინც უნდა გამოგიტყდე... მწვანე თვალებიანი ალები — ჩემი ქალები არიან. თქვენმა ფაშებმა დამიხვრჩეს ისინი დუნაიში. ყური მომიგდე, ჩემს ქალებთან გამიშვი, — დამიტოვე ქლიბი. დიდი ხანია მეძახიან ჩემი ქალები.

პოლიციელმა დაუტოვა ქლიბი, გამოუკეტა კარები და წავიდა.

იმ ღამეს საპყრობილის დარაჯები ძირს ისხდენ, როდესაც შემოესმათ რაღაც წკრიალი, და სწორედ ამ დროს ფანჯარაც ჩავარდა მდინარეში. დაფაცურდენ დარაჯები, აიხედეს მაღლა და ფანჯარაში ტროანი დაინახეს. მან წამოიძახა:

— ურჯულოებო, თქვენი სული შეავედრეთ უფალსა.

მოიხსნა ჯვარი და გადაეშო მდინარეში, რომელმაც საჩქაროთ ჩანთქა...

მოხუცნი ამბობენ, ვითომ დამხრჩვალთა სულები ღამ-ღამობით დადიან, ოღონდ დილით უსათუოდ უნდა მონახონ ხოლმე გრილი ადგილი. როდისმე გინახავთ, როგორ აიორთქლება ხოლმე ნამი? ისინიც დილის ნამივით გაქრებიან. მაგალითად, ღამით წანწალით მოქანცულს წყალში მცხოვრებს ადამიანს მიეძინება სადმე ქვაზედ, დილით მზე გაათბობს და მორჩა, იგი ორთქლათ იქცევა...

არ ვიცით რამდენი ხანი დაჰყო ტროანმა წყლის კაცათ, ეგ კი არის, რომ ერთხელ რაინდი ღამით მოიჭრა თავის ციხე-დარბაზში და უბრძანა რომ რიჟრიჟისას ყველა ფანჯრები დარაბებით მაგრა ჩაეკეტათ.

— ციხეში გადავეჩვიე დღის სინათლესაო, სთქვა ტროანმა, მხოლოთ თავის ერთგულ მოსამსახურეს გამოუტყდა და ყოველივე უამბო.

— მეგობარო, ჩემო ერთგულო, ყურადღებით იყავი, რომ მზის სხივმა არ დამკრას, თორემ სამუდამოთ დავიღუპები.

ტროანი ყოველ ღამეს მოუყრიდა თავს თავის ამალას და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასწევდა ხოლმე საითკენმე. არაფერი ერეოდა მას. რამდენი ლამეც დაჰყო მან, იმდენი ქალაქი დაარბია. ყველას შეებრძოლა იგი: ოსმალოებს, ბერძნებს და ვინ მოსთვლის კიდევ ვის.

იქნება ეხლაც ეცოცხლა თავის ციხე-დარბაზში ტროანს და ჰკუაც ესწავლებინა გერმანელებისთვის, და რომ აღარ დაგვცალდა!

მაგრამ აი რა მოხდა... ერთმა ფაშამ როგორღაც თავი შეაყვარა ტროანს, რჯულიც კი გამოიცვალა. ერთხელ ამ ფაშამ მიიწვია ტროანი სტუმრათ და ქეიფი გაუმართა. მთელი ღამე ილხინეს, იქეიფეს. სამჯერ დაუძახა ერთგულმა მოსამსახურემ:

— დროა, ბატონო, გვიანდება, საცაა გათენდება...

მეოთხეთ რომ დაუძახა, მხოლოდ მაშინ წამოდგა ტროანი და აივანზე გავიდა; რიჟრაჟი იყო. მოახტა ცხენს და გაჰქუსლა. მაგრამ ჰგრძნობს იგი, რომ სული უგუბდება, ჰაერი აღარა ჰყოფნის. გადმოხტა ცხენიდან, საჩქაროთ მიწვა მიწაზე და წაიხურა წამოსასხამი.

—დროზე შეატყობინე ჩემს ამალას, რომ ყველანი აქ იყვენ მზის ჩასვლისას—უთხრა ტროანმა თავის მოსამსახურეს. მე კი საღამომდე აქ დავრჩები.

წევს ტროანი წამოსასხამ წაფარებული; შუა დღეც მოახლოვდა... ამის ადგზე მეცხვარეებს ცხვარი მოუდიოდათ. დაინახეს წამოსასხამი. ერთმა მწყემსმა ცოტათ ასწია მისი კალთა. როგორც კი მოხვდა მზის სხივი ტროანს დაიყვირა: რას სჩადიხართ, ქრისტიანები არა ხართ?—და სამუდამოთ გაჩუმდა. ტუჩის ფერი დაეკარგა, თვალები აემღვრა და ქუთუთოებზედ წყვილი ცრემლი გადმოეკიდა. მერე უეცრივ შეიქმნა როგორც ნისლი. მთებიდან სისინით წამოუბერა ქარმა და გაჰფანტა ხისლის ნაგლეჯი...მხოლოთ ერთი წამოსასხამი ლა დარჩა ტროანისაგან.

(თარგმანი)

თამარ კარბელაშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ფასდაუდებელი თავგანწირულობა.

ზოგჯერ საჭიროა ისეთი მოვალეობის ასრულება, რომელზედაც კანონები არ არი დაწერილი. მაგალითად: არც ერთ ტელეგრაფისტს არ შეუძლიან მიატოვოს თავისი საქმე, თუნდ საშიში რამე კიდეც მოელოდეს. ისე როგორც გემის უფროსს, მატარებლის მემანქანეს, თუ რომ საქმისთვის შესაძლებელია შველა.

ხშირათ უბრალო ცხოვრებაში ტელეგრაფისტები თავგანწირულებას იჩენენ, მაგრამ მათ თავგანწირულებას ბევრნი არაფრათ აგდებენ, მხოლოთ ზოგჯერ ახსოვთ ხოლმე მათი შესამჩნევი მოვალეობის ასრულება.

ერთ საოცარ მაგალითს წარმოადგენს ფერჩაილდი, ღამის ტელეგრაფისტი,—ერთი ვიწრო ლიანდაგის გზისა, რომელიც ჩრდილოეთ კაროლინის შტატთან დაიარებოდა. ერთხელ ტელეგრაფისტმა გაისტუმრა სანოვაგით სავსე მატარებელი და სწორეთ ამ დროს, როდესაც მატარებელი მიექანებოდა ჩრდილოეთით 70 ვერსის სიჩქარით, ტელეგრაფისტმა უცბათ შეამჩნია მომავილი ექსკურსანტების მატარებელი 400 კაცით სავსე, რომელიც სადგურზე შეუჩერებლივ ვერსის მეოთხეზე ბაქანიდან მიექანებოდა.

ფერჩაილდი უბედურების ასაცდენათ, რომ ხალხი არ დაღუპულიყო, მხოლოთ ერთ საშველ გზას ხედავდა და უნდა იმითი ესარგებლა. როდესაც ამ მატარებლის პარავოზი გაურბოდა ფერჩაილდს, იგი ერთ წამს ნიშნის მისაცემ მანქანაზე შედგა, მერე გახტა წინ ექვსი ფუტის სიმაღლეზე და პირდაპირ იმათ ვაგონის თავზე დავარდა. მატარებელი ისეთი სისწრაფით მიექანებოდა, რომ ამ ვაგონმა მთლათ გაირბინა და მას დაცემის დროს ბეჭები დაუმტვრია. ყმაწვილმა შემთხვევით ხელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოჰკიდა ჰაერის გასასუფთავებელ მილს და ჩაჰიდებული ასე რამდენიმე წუთი უგრძნობლათ იყო, ვერც ხელს და ვერც ფეხს ვერა სძრავდა. სამი ფუტით სიშორეზე ნიშნის მისაცემი თოკი იყო, მაგრამ ვერა სწვდებოდა, ჩამოსვლა კი ქვემოთ ვაგონის ბანიდან, როდესაც მატარებელი ისეთი სისწრაფით მოექანებოდა, მის სიკვდილს მოასწავებდა.

ერთი საშუალება ლა იყო. მოიგროვა რაც ძალი და ღონე ჰქონდა, თუმცა სისხლით იცლებოდა, ბობღვით გაია-რა ვაგონის ბანი, მიცოცდა პარავოზთან და დიდი ვაი-ვაგლა-ხით მიუახლოვდა უკანიდან მემანქანეს.

— შედეგი, შედეგი, ღვთის გულისთვის უკან დაიწიე! დაუყვირა მემანქანეს ისე ძლიერ, რომ გაეგონებინა მანქანის ხმაურობაზე. არც ერთი წუთის დაკარგვა არ შეიძლებოდა.

მემანქანემ მატარებელი სწრაფლათ შეაყენა. ერთ-ერთი მუშა მაშხალით გაიგცა წინ, რომ მომავალი საქონლის მატარებე-ლი შეეყენებინა. მერე მემანქანემ უკან უკან წაიყვანა მატარე-ბელი. ამ დროს კი პარავოზზე ეგდო მკვდარი საბრალო ფერ-ჩაილდი, რომელმაც გადაარჩინა საშინელ სიკვდილს მთელი მატარებლის ხალხი.

ხშირათ ამ გვარ გმირს ვერცკი ცნობილობს საზოგადო-ება, რადგან რკინის გზის მართველობისთვის არც ვარგა რომ ხალხმა, რომელიც თავის სიცოცხლეს ანდობს მას, შეიტყოს რა განსაცდელი მოელოდა. თუ ვინმე ამისთანა თავგანწირუ-ლი უცაბედათ სიკვდილს გადარჩება ხოლმე, ვერც კი ზის რამე უწესოებას გაამხელს, მაშინვე თავს უკრავენ სხვაგან. იმას კი ვინც გმირულათ მოკვდება, პატივით დამარხვასაც არ აღირ-სებენ.

ფრანკ შალეისაც ეს დღე დაემართა. სამი წლის წინეთ, როდესაც 70 ვერსის სიშორით ღამე კაიენის დასავლეთით ხალხის მატარებელი მიდიოდა, მის ქვეშ რელსი გატყდა და წვერით ბარგის ვაგონი გახვრიტა. ერთ წამს მატარებლის ცხრა ვაგონი ერთმანეთს შეეჯახა და სადაც უბედურება მოხ-და იმ ადგილას და ვაგონებ ქვეშ მოჰყვა ას ორმოც და ათ კაცზე მეტი დასახიჩრებულნი და მკვდრები; სწორეთ ამ დროს სეტყვა და ქარიშხალი მძვინვარებდა და მომაკვდავნი სიცივეში და წვიმის ქვეშ ეყარენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორთქლმავალი ისე გაიჭედა, რომ შეუძლებელი გახდა მისი მოხსნა დამტვრეულ ვაგონებიდან და ამიტომ თავიანთ გაჭირვებას ვერ აცნობებენ მახლობელ ახალშენს შემწეობის აღმოსაჩენათ. თითქოს საშველი აღარა იყო რა უბედურთათვის! ხოლო უნდა წითელი ბაირაღი გამოეკიდნათ მატარებელის შესაჩერებლათ, რომელიც ხუთი საათის შემდეგ უნდა მოსულიყო. უცბათ დამსხვრეული ვაგონების ქვეშიდან გამოცოცდა კაცი, რომელსაც ორივე ფეხი მოგლეჯილი ჰქონდა და სისხლის კვალს აჩენდა. ეს იყო ტელეგრაფისტი ფრანკ შალეი, რომელიც უფროსებს გაეგზავნათ გაფუჭებული ტელეგრაფის გასასწორებლათ. მატარებლის დამსხვრევის დროს იგი იყო ბარგის ვაგონში და ჩანთა იარაღით თანა ჰქონდა. საბრალოს მაგრათ ეჭირა თავისი ძვირფასი ჩანთა. დიდი გაჭირებით მიბობღამდა წინ, თუმცა ორივე ფეხი როგორც მოვიხსენიეთ მოგლეჯილი ჰქონდა და სისხლისაგან იცლებოდა.

— გადაჭერით ტელეგრაფის მავთული, დაიყვირა მან, მაგრამ არავინ იცოდა ათ მართულში რომელი უნდა გადაეჭრათ, ვერც თითონ შალეი იტყოდა თუ ახლო არ დაათვალიერებდა მავთულებს. დამსწრე ხალხმა დაუყოვნებლივ მომაკვდავ შალეის საბნით მუხლები შეუხვიეს და ისე ასწიეს ტელეგრაფის ბოძზე მართულამდის. მან საჩქაროთ გადასჭრა მავთული, ამოიღო ჩანთიდან თავისი პატარა სადეპეშო მანქანა, მიწაში ჩადგა და გადაჭრილ მავთულთან შეაერთა. დიდი სიფრთხილით ეჭირათ საბრალო, როდესაც იგი იწვევდა სალაპარაკოთ კაიენის ტელეგრაფის მოხელეს და თან დამშვიდებით შესცქეროდა თავის სისხლის გუბეს, რომელიც უკანასკნელ ძალას ართმევდა მას. უდროვო დრო შეხვდათ. ღამე ძნელათ გაადვიძებდენ მორიგ ტელეგრაფის მოხელეს. მთელი ათი წუთი მოუნდა სანამ მას პასუხს გასცემდენ.

„მეჩვიდმეტე ნომერი საშინლათ დაიმსხვრა, 70 ვერსზე დასავლეთით, კაიენისთან. მოაშველეთ მატარებელი“. ამ ტელეგრამის გაგზავნა იყო და მისი სულის ამოსვლა.

ღამევე მოისმა მატარებლის სტვენა, მან მოიყვანა საშველათ ინჟინრები, ხელოსნები და იაპონელი 200 მუშა. მაშინვე მათ მოჰყვათ სხვა ვაგონებიც ექიმებით, მოწყალების დებით და წამლებით. როდესაც ყველამ თავი მოიყარა, შალეი უკვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკვდარი დაუხვდათ მის მიწის ფერ სახეს არ ეტყობოდა ის აუტანელი ტანჯვა, რომელიც განიცადა მან და არც ძალის დატანება თავის თავზე, რომ ასეთი პატარა იარაღის საშუალებით ათასი ადამიანი გადაარჩინა.

1878 წელს ახალ ორლეანში, მემფისში და გრენადაში მძვინვარებდა დამპალი ციება, რომლის მნახველი ჯერ არას დროს არავინ არა ყოფილიყო. ამ სენს ეძახდენ ყვითელ სიკვდილს. ამ სენის მსხვერპლი გახდა ოცდა ათი ათასი კაცი. მარტო სამოც დღეში მოკვდა ექვსი ათასი კაცი.

მარიამობის შუა რიცხვებში ყველას შეეშინდა. რომ მთლათ მთელ სამხრეთს მოედებოდა ეს ჭირი და გამოაცხადეს, რომ ის ადგილები, სადაც მძვინვარებს ეს გადამდები სენი, იქნება გაცალკევებულათ ალყა შემორტყმული.

ამის გამოცხადება და ყველას გაქცევა ერთი იყო. ათი დღის განმავლობაში მეფისის თეთრი ხალხი საგრძნობლად შემცირდა—ორმოც ათასიდან სულ დარჩა რაღაც სამი ათასი სული. ყველა ისე ცდილობდა გაქცევას, თავის დახწევას, რომ დედები სტოვებდენ მომაკვდავ შვილებს, ცოლები ქმრებს, ვაჟიშვილები დედებს. მღვდლები, ექიმები, მოწყალე დები და ქალაქის სხვა მოხელეები თავს ანებებდენ თავიანთ სამსახურს და ადგილებს უთმობდენ გაბედულებს, უშიშრებს.

ერთი კვირის განმავლობაში ექვსას კაცზე მეტი მოკვდა. ისე უეცრად კვდებოდენ, რომ ვერც მეკუბოები და ვერც საფლავის გამთხრელები ვერ ასწრებდენ დამარხვას. მაშინ ორმოცი ფუტის სიგრძეზე გათხარეს უბრალოთ თხრილი და შიგ ჩაჰყარეს, უბედურები უკუბოებოთ. მათთვის არც წესის აგება იყო და არც ნათესავებისა და მახლობლების დასწრება.

გზები შეიკრა. 15 ტელეგრაფის მოხელეში მხოლოთ ოთხი გადარჩა. ამ საშინელ სენმა ყველა ამოჟლიტა. მთელი გროვა დეპეშები გასაგზავნ-მისაღები დაატყდა ამ ოთხ კაცს სიკვდილს გადარჩენილებს. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ დედებს, ცოლებს, დებს ესაჭიროებოდათ ამბის შეტყობა თავიანთ შვილებზე, ქმრებზე და ძმებზე. საჭირო იყო ამ მკვდარი ქალაქიდან შეეტყობინებინათ თავიანთ მახლობლებისთვის, რომ ჯერ ცოცხლები არიან. უნდა გაგზავნილიყო დეპეშები დამხმარე კოიტეტებთან, რომ მოეშველებინათ ექიმები, მოწყალების

დები. უნდა ეცნობებინათ გაზეთებში დასაბეჭდათ აქაური უბედურება და ვაი-ვაგლახი, რომ ხალხი მოშველებოდათ. როდემდის გაუძლვებოდა ეს ოთხი ტელეგრაფის მოხელე ამოდენა ბევრ საქმეებს. ამიტომაც ფოშტა-ტელეგრაფის საზოგადოებამ ნიუორკში ყველგან განცხადებები დაგზავნა მოხელეების მოსაშველებლათ.

მაგრამ თავის განწირვა ასე ადვილი არ არი. ნიუორკის ხუთას ტელეგრაფის მოხელეებში, მხოლოთ ერთი აღმოჩნდა. ეს იყო ედვარდ უედინი, ოცდა ორი წლის ყმაწვილი—წვრილი, წამოსადეგი და წყნარი ხასიათისა. მაგრამ ამასთანავე უშიშარი, გაბედული არაფრისა და არავისი არ ეშინოდა. 28 მარიამობისთეეს მატარებელით გაემგზავრა ახალ ორლეანში. აუარებელი მეგობრები აცილებდენ და ესალმებოდენ, ვინ იცის სამუდამოთაც.

ამ ჭირიან არე მარეს რომ უახლოვდებოდა უედინი ვაგონიდანვე კარგათ ხედავდა „ყვითელი სიკვდილისაგან“ მიწასთან გასწორებულ ადგილებს. მთელი სოფლები მოჩანდა დაცარიელებულნი, მხოლოთ ქუჩებში დაწანწალებდენ ცოცხალმკვდარი ძაღლები. სახლის ფანჯრები და კარებები ყველგან გაღებული იყო საიდანაც და მოჩანდა ზეწრებ გადაფარებული მკვდრები და ჩამ წვარი წმინდა სანთლები. სასაფლაოებზე კირი იყო გადასხმული, რომ გადამდები სენი არ გავრცელებულიყო.

როდესაც იგი ახალი ორლეანის სადგურზე ჩამოვიდა გარშემო ვერავინ ნახა. ტელეგრაფის ოთახში რომ შევიდა ყველას ძალიან გაუკვირდათ. მომუშავე რომ არა ჰყავდათ, მაგიდაზე დიდძალი დეპეშები გროვათ ეწყო. ყმაწვილი კაცი მოუჯდა მანქანას. მაშინვე მან ხუთასი დეპეშა გაგზავნა. საჭმელ-სასმელი იქვე მოუტანეს,—ისე რომ არ შეუყენებია მუშაობა. შეუსვენებლივ თორმეტი საათი მუშაობდა, სანამ მაჯა არ დაეღალა და თვალი არ დაუბნელდა; რომ არ დასძინებოდა სავარძლის ხელის მოსაკიდზე ჩამოჯდა. იმდენ ხანს იმუშავა, სანამ კლავი არ დაუბუჟდა და მძიმეთ არ ჩაეძინა სავარძელში. ორი საათი ეძინა. ვერას გზით ვერ გააღვიძეს. ბოლოს როგორც იყო გონებაში ჩააგდეს და ღამე ბარბაცით წავიდა სახლში. მან გაიარა გვამის სუნით აყროლებული ქუჩები, ქალაქი დროგებით და ურმებით სავსე იყო, რომლითაც მკვდრები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიჰქონდათ სასაფლაოზე, გზაზე ათას ადგილას ენთო ფიჭვის ფესვებით ცეცხლი, რომ ჰაერი ცოტა ოდნათ მაინც გასუფთავებულიყო.

მეორე დღეს და შემდეგშიაც სხვა და სხვა ქალაქებიდან მოდიოდენ ყმაწვილი კაცები, რომელთაც ოჯახი არა ჰქონდათ. ისინი ბუზებივით იხოცებოდენ. ერთი მათგანი დილით რომ მოვიდა, მეორე დღეს დაღამებამდე უკვე ჩაუშვეს თხრილში. ზოგმა 48 საათიც ვერ გაუძლო, ზოგნი მუშაობიდან სახლში დაბრუნების დროს გზაშივე კვდებოდენ. ზოგნი კიდევ საღამოთი რომ სახლში წავიდოდენ, სულ კარგათ მყოფნი, მეორე დღეს აღარ მოვიდოდენ სამუშაოთ და რომ მოიკითხამდენ, ქვეშაგებში ნახავდენ მკვდრებს. ბევრნი სამსახურშივე ავათ ხდებოდენ. ერთხელ შუა დღისას გვერდით უედინთან ტელეგრაფის უფროსი წაიქცა, როდესაც მკვდარი ასწიეს მას ხელში მაინც ისევ მანქანის გასაღები ეჭირა.

უედინმა მხოლოთ ერთხელ დაჰკარგა გულის სიმშვიდე. ეს მოხდა სწორეთ მაშინ, როდესაც მოულოდნელათ მიიღო თავის დისგან დეპეშა. იგი ცხოვრობდა ათას მთის იქით თავის ცივ ქვეყანაში, ჩრდილოეთის მხარეს. „ღმერთო ჩემო! თითქოს ის ახლა თავისი ნაზი თითებით შეეხო ჩემს შუბლსო“. ამბობდა ყმაწვილი, როდესაც დის ტელეგრამა თავისი ხელით მიიღო.

— ცოცხალია თუ არა ედვაარდ უედინი? შევიტყე, ვითომ მომკვდირიყო, მისი და უცდის პასუხს კანტორაში.

„უთხარით იმას, რომ ედ თვითონ აძლევს პასუხს. ღმერთმა დალოცოს. ედი სიყვარულით კოცნის მას.—უპასუხა ტელეგრამით უედინმა და თვალებიდან ნაკადათ ცრემლები წამოუვიდა.

ეს სენი მთელი სექტემბერი მძვინვარებდა. მერე ადრეულათ დაიწყო სასტიკი ყინვები სენს უნდა ბოლო მოღებოდა, ხალხი ერთმანერთს ეხვეოდა, სიხარულით ტიროდა და დატანჯული სახით ღმერთს გადარჩენისთვის მადლობას სწირავდა, ეკლესიაში ზარის რეკა გაისმოდა, რადგან ეს ის დღე იყო, რომ თავიდან მოიცილებდენ საშიშ „ყვითელ სიკვდილს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავგანწირულებთა შორის „ყვითელი სიკვდილის“ დროს, როდესაც უმოწყალოთ მძვინვარებდა ეს სენი, ყველაზე გამოჩენილი იყო უედინი. იგი ამ ჟამათ ჰალარა მოხუცია და მსახურობს დასავლეთ შეერთებულ შტატის ტელეგრაფთა საზოგადოებაში და თავის თავი იმიტომ მიაჩნია გამოჩენილათ, რომ ამისთანა ღვთის რისხვა დროში სიკვდილს გადურჩა. უმეტესი ნაწილი მისი ამხანაგებისა გახდენ სენის მსხვერპლათ და დაიღუპენ. მაგრამ მათ ამხანაგ-ძმებ შორის ძნელათ თუ გაქრება ხსოვნა მათი, რადგან იგინი თავგანწირულნი მუშაკნი იყვენ.

(თარგმანი)

ან. წერეთლისა.



ელექტრონული ბიბლიოთეკა

# მეკურტნეს სიმღერა.



მეკურტნე იყო მამა საწყალი,
მეკურტნობაში დალია სული,
სიკვდილის წამსა მე დამიბარა
და მარიგებდა ის ცხონებული

„მეკურტნე მყავდა, შვილო, მეც მამა,
ბევრჯელ არ გვქონდა გვეჭამა პური,
სად იყო ჩემთვის სწავლა და სკოლა?
ვინ მომაქცია, უბედურს, ყური!
არ იყავ, შვილო, თავადის შვილი
და თავადურათ ველარ აღგზარდე,
რაც მქონდა, შენთვის არ დავიშურე,
მითაც ვაჟკაცი ხომ გამოგზარდე.
რაც დამრჩენია მე პაპიშენით,
შენვე გიტოვებ, მე თან არ მიმაქვს:
ღარიბი იყავ, პატიოსანი,
ჯანი და ღონე შვილო, კარგი გაქვს...
და აი იგიც დღიურსა ლუკმას
ზე მოვანდომე, ზე შევალიე!
ტანჯვა ვაებით ცეცხლის პურსა ვჭამ,
წვითა და დაგვით დღენი დავლიე!
ჯანიც წამერთვა მე უბედურსა...
რითღა ვირჩინო, რით ვიცხოვრები?
არა მაქვს სახლი, მამულ-დედული,
არც თუ პენსია ნამსახურები.
ვარ უსწავლელი, ვარ საქონელი,
ჩამომიყრია მწარეთ ყურები!..

**მიხ. გერმანაშვილი.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ალ. ნათაძე და მისი ყმაწვილები.

# ალექსანდრე ნათაძის ხსოვნას.

ამ ორი თვის წინეთ ქართლის სოფელ კირბალში გარდაიცვალა ალექსანდრე ნათაძე. ამ სიკვდილით ჩვენს ქართველ ბავშვებს კიდევ მოაკლდათ ერთი გულითადი მოსიყვარულე მეგობარი და მოამაგე. გაათავა თუ არა სწავლის რიგი გორის სამასწავლებლო სემინარიაში, ალექსანდრე ნათაძე შეუდგა ბეჯითად ბავშვების აღზრდისა და სწავლების საქმეს და მისდევდა ამ საქმეს ერთგულად, სიყვარულით სიცოცხლის ბოლომდე. იგი ასწავლიდა ბავშვებს წიგნსა, წერა-კითხვასა, იმავე დროს სწერდა წერილებს საბავშო ჟურნალში ან ბავშვების წასაკითხათ, ან დედ-მამის დასარიგებლათ, თუ როგორ უნდა მოევლოთ ბავშვებისათვის და როგორ უნდა აღეზარდათ, გაეწვრთნათ იგინი. სწერდა და ბეჭდავდა ხან თავის საკუთარ წერილებს, ხან სთარგმნიდა სხვა ენიდან, რაც სასარგებლო და სასიამოვნო იყო ჩვენი ბავშვებისათვის, ან მათი დედ-მამისა და მასწავლებლებისათვის. ბევრი უწერია განსვენებულ ალექსანდრე ნათაძეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ბევრს სხვა და სხვა სასწავლებელში უსწავლებია მას. ყველაზე ბევრი ხანი კი იმუშავა ერთგულად და პატიოსნად ალექსანდრემ ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში ანუ დღევანდელს ქართველთა გიმნაზიაში. აქ იმას ჩაბარებული ჰქონდა მოსამზადებელი კლასის პირველი განყოფილება. ამ განყოფილებაში მიიღებდნენ ხოლმე მაშინ იმ ბავშებს, რომელთაც არც წერა იცოდნენ და არც კითხვა. გარდაცვალებულ ალექსანდრეს უნდა დაეწყო მათთვის წერა-კითხვის სწავლება და უნდა შეეყვარებინა წიგნი. თითქმის ოცდა ხუთი წელიწადი ასრულებდა ამ ძნელ საქმეს ალექსანდრე ნათაძე სრული ერთგულობით, ბეჯითად და სიყვარულით. ბევრს დღევანდელ განათლებულ ქართველს მისგან უსწავლია წერა-კითხვა და შეჰყვარებია წიგნიც და წერაცა. ბევრ ქართველ ბავშვებს წაუკითხამთ ჟურნალ ჯეჯილში მისი ზღაპრები და მოთხრობები: „ბიძიას ნაამბობი", „გმირი დერციკი", „ჯლანუას თავგადასავალი" და კიდევ ბევრი სხვა...ბევრი ბავშვი კითხულობს ალექსანდრეს „მელიას თავგადასავალს", კითხულობს და იცინის გულიანათ მელიას ეშმაკობაზედ, მაგრამ იმავე დროს ამ ბავშვების გულს სძაგდება მელიასთანა მატყუარი, ცბიერი, უსინიდისო, დაუნდობელი, შეუბრალებელი და თავისივე მეგობრის და ამხანაგის გაუტანელი და დამღუპველი კაცი. ალექსანდრესაც ის უნდოდა, რომ ქართველი ბავშვების გულს შეეყვარა პატიოსანი ადამიანები, ძმობა, ერთგული მეგობრობა და შესძაგებოდა სიავკაცე და ორგულობა. აი ესეთი ერთგული მეგობარი, ასეთი მოამაგე დაჰკარგეს ქართველმა ბავშვებმა.*)

კეთილი იყოს და დაუვიწყარი შენი ხსოვნა იმათ გულში, ვისთვისაც შენ სიყვარულით იშრომე, პატიოსანო და სამაგალითო მასწავლებელო ალექსანდრე!

**ივ. რატიშვილი.**

---

*) ჯეჯილის რედაქციაც გლოვობს ასე უდროოდ დაკარგულ ძვირფასს, უანგარო თანამშრომელს ალექსანდრეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ოქროს შეხება.

(მეფე მიდასის თავგადასავალი).

კარგა ხანია მას აქეთ, რაც ქვეყანაზე ცხოვრობდა ერთი მდიდარი მეფე მიდასი. მას ჰყვანდა ერთი ქალიშვილი, რომელსაც არავინ არ იცნობდა და არც მისი სახელი გაეგონა ვისმეს. ამიტომ მე სახელათ დავარქმევ მერიგოლდს — რაც ნიშნავს ოქროს მარიას.

მეფე მიდასი ოქროს ძლიერი მოყვარული იყო. თავის სამეფო გვირგვინს უფრო იმიტომ აფასებდა, რომ ოქროსი იყო. ოქროსავითვე უყვარდა აგრეთვე თავისი პატარა ქალიშვილი. ის ყოველთვის ლამაზათ თამაშობდა მის სამეფო ტახტის საფეხურებზე. მიდასი უფრო იმისთვის ცდილობდა სიმდიდრის მოპოვებას, უბედური! იგი ფიქრობდა რომ მისი ქალიშვილი უფრო ბედნიერი იქნებოდა, თუ მეტ ოქროს დაუტოვებდა.

დღე და ღამ მას სულ ოქრო ელანდებოდა, მთელ თავის დროს იმას ანდომებდა, რომ რაც შეიძლება მეტი ოქრო ჩაეგდო ხელში. როდესაც უყურებდა ჩამავალ მზეს და ხედავდა ოქროსავით განათებულ ღრუბლებს — უნდოდა ოქროთ ექცია, გაუწვდენდა ხელებს მოსატაცებლათ, რომ თავის სკივრებში ჩაეკეტა. როდესაც პატარა მარია მოირბენდა მასთან და მოუტანდა ყვითელ მშვენიერ ვარდების თაიგულს, იგი ეტყოდა:

— ჩემო პაწიავ, ეს ყვავილები ეღირებოდა რამეთ, თუ მარტო ფერით კი არა ჰგვანებოდა ოქროს, არამედ ნამდვილათ ოქროსი ყოფილიყო.

წინეთ, როდესაც მეფე უფრო ახალგაზრდა იყო და არა ფიქრობდა მხოლოთ ოქროს შეძენაზე, მაშინ ძალიან უყვარდა ყვავილები. მის ბაღში საუკეთესო სურნელოვანი ვარდები ხარობდენ. იმისთანა იშვიათ ვარდებს ვერც ვერავინ ნახავდა და ნოსვითაც ვერ დასტკბებოდა. ახლაც ეს ვარდები მშვენიერი

სურნელოვანი იყვენ ისე, როგორც წინეთ, როდესაც [illegible] მთელი საათობით შესცქეროდა ხოლმე მათ; მაგრამ ახლა თუ შეხედავდა კიდეც, მაშინვე თავში გაუელავდა აზრი, რა კარგი იქნებოდა რომ ეგ სულ ოქროს ზოდი ყოფილიყო. მიდასს ისე სხვა არაფერი უყვარდა, როგორც ოქროს ჩხრიალი.

მოხუცებულობაში ბევრნი სულელდებიან. მიდასაც ეს დაემართა, მან ჭკუა-გონება დაჰკარგა, ოქროს გარდა თვალში აღარაფერი არ მოსდიოდა. თითქმის მთელ დღეებს იგი ატარებდა სასახლის ერთ ბნელ სარდაფში, სადაც ედგა ოქროთი სავსე სკივრები. ეს ბნელი სარდაფი ნამდვილ საბყრობილეს მიეგვანებოდა. მიდასი სწორეთ მაშინ იყო ბედნიერი, როდესაც იგი გასაღებით ჩაიკეტავდა კარებს, ფრთხილათ აიღებდა ხოლმე ოქროთ სავსე ტომარას, ოქროს თასს, ვეება ოქროს ზოდებს და ბნელ კუთხიდან მიათრევდა ერთათ ერთ ფანჯარასთან, სადაც მხოლოთ ოდნავ მზის სხივი შეაშუქებდა. ის ძალიან აფასებდა ამ მკრთალ სინათლეს, რადგან მისი ოქროები ამ ბნელ სარდაფში უფრო ბრწყინავდენ. ტომრიდან ოქროებს გადმოჰყრიდა, აისვრიდა მაღლა, დაიჭერდა ხელით და მოჰყვებოდა თვლას, მერე ბრჭყვიალა თასში, როგორც სარკეში, იხედებოდა ჩურჩულით:

— ო, მიდას, შენზე ბედნიერი ვინ იქნება ქვეყანაზე!

თასში კი მოჩანდა მისი საზიზღარი ღიმილი, თითქოს სულელ მეფის დასაცინათ.

მართალია მიდასს თავისზე ბედნიერი ქვეყანაზე არავინ ეგონა, მაგრამ გრძნობდა რაღაც უკმაყოფილობას, მოწყენილობას. მას კიდეც ეგონა, ახლა მთელი ქვეყანა რომ მისი იყოს და ყველაფერი ოქროთ იქცეს, მაინც ის კმაყოფილი არას დროს არ იქნება.

ადრინდელ დროში ხშირათ სასწაული მოხდებოდა ხოლმე და აი ერთხელ, როდესაც მიდასი ჩვეულებრივ ეტრფოდა თავის ოქროებს, უცბათ დაინახა ვიღასიც, ჩრდილი და როდესაც მზის სხივმა შემოანათა მის კუნჭულში, თავზარ დაცემულმა მეფემ გაარჩია უცნაური კაცი. იგი იყო ელფერიანი, ახალგაზრდა, მოცინარი სახით. მიდასს მოეჩვენა, რომ ამ უცნაური კაცის ღიმილმა გაანათა ყველაფერი გარშემო და მისი სათნო პირიდან ყველაფერმა მიიღო ოქროს ფერი. უცნობის თვალე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიდან წამოვიდა ისეთი სხივი, რომელიც სულ შორეულ კუნჭულსაც კი მოხვდა და მიმალული ოქროებიც კი გაანათა.

მიდასს კარგათ ახსოვდა, რომ კარები გასაღებით ჩაკეტა და ძალით ვერავინ ვერ შემოვიდოდა. იგი მიხვდა, რომ რაღაც სასწაული ხდებოდა, ეს უბრალო კაცი არ იქნებოდა. ადრინდელ, ძველ დროში ფიქრობდენ, რომ არიან ისეთი არსებანი, რომელნიც მწუხარების ან სიხარულის დროს მოევლინებიან ადამიანს მის სანუგეშოთ და გასართობათ. მიდასი მიხვდა რომ ეს იმ ჯურის ადამიანია და გაეხარდა, გარდა ამისა ეს უცხო ვინმე ძალიან კეთილათ და ალერსიანათ გამოიყურებოდა. ეჭვი არ იყო, რომ უნდა მიდასს სიკეთე მიანიჭოს და რითი გაახარებდა ამას, თუ არ ოქროების მიცემით.

უცნობმა მიიხედ-მოიხედა. მისი ღიმილით განათდა ყველაფერი, ბოლოს უთხრა მიდას:

— შენ ძალიან მდიდარი ყოფილხარ. მე არა მგონია, რომ ქვეყანაზე მოიპოვებოდეს იმდენი ოქრო, რამდენიც შენ ამ ოთხ კედელში მოგეპოვება.

მიდასს ძალიან ესიამოვნა ამ სიტყვების გაგონება და უთხრა:

— მართალია, მე ბევრი ოქრო მაქვს მოგროვილი, არც გასაკვირელია. მთელი სიცოცხლე ამას მოვანდომე და მაინც არა მგონია, რომ მდიდარი ვიყო. მე რომ ათასი წელიწადი ვიცხოვრო, მაშინ სულ სხვა იქნება.

— ნუ თუ კმაყოფილი არა ხარ? გაკვირვებით ჰკითხა უცნობმა.

მიდასმა თავი გაიქნია.

უცნობმა ხელ-ახლათ ჰკითხა:

— მაშ რა დაგაკმაყოფილებს შენ?

მიდასი ჩაფიქრდა. წინა გრძნობა ეუბნებოდა, რომ უცნაური სტუმარი მოვიდა მასთან, მხოლოთ მის სურვილების ასასრულებლათ. კაი დროა. საკმარისი იქნება უთხრას თავისი წადილი, მისწრაფება და შეუძლებელს — შესაძლოთ დაინახავს.

მიდასი საგონებელში ჩავარდა. იგი ოცნებობდა. ოქროს მთები წინ ედო, სულ მაღლა-მაღლა მიფრინავდენ მისი ოცნებები. უცბათ საოცნებო აზრმა გაურბინა თავში. ისე გაეხარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და როგორც ოქროს დანახვა გაახარებდა. თავი მაღლა ასწია და მოღიმარ უცნაურ კაცს შეხედა.

— აბა, მიდას, ახლა მგონია, იცი, რაც დაგაკმაყოფილებს. მითხარი შენი სურვილი.

კრიჟანგმა ხმა ამოიღო:

— ხედავ, რა მოღალული ვარ ამ გვარათ სიმდიდრის მოგროვებით. თუმცა ძალიან ვცდილობ, მაგრამ ბევრს ვერას ვიძენ. მე მინდა რომ რასაც შევეხები—ყველაფერი ოქროთ გარდაიქცეს.

ყმაწვილს სახე უფრო გაუბწყინდა. ოთახშიც ყველაფერი მის გარშემო გაბრწყინდა ისე, როგორც ჩაბნელებული მინდორ-ველი გაბრწყინდება ხოლმე ვარსკვლავები რომ გაანათებენ. ისე, როგორც შემოდგომის ხის ფურცლები მზით განათებული ერთბაშათ გაბრწყინდებიან.

— შენ გინდა რომ, რასაც შეახო ხელი ყველაფერი ოქროთ გარდაიქცეს? ძალიან კარგი, მიდას, სწორეთ რომ კარგი რამ მოგივიდა აზრათ! მაგრამ დარწმუნებული კი ხარ, რომ ეგ ბედნიერებას მოგანიჭებს?

— რასაკვირველია.

— იცოდე, მერე არ ინანო.

— რა მექნება სანანებელი? ეგ სასწაული მე ნამდვილათ გამაბედნიერებს.

— მაშ კარგი! შენი სურვილი აგისრულდება. ხვალ მზის ამოსვლიდან რასაც მიეკარები, ხელს შეახებ, ყველაფერი ოქროთ გარდიქცევა. თქვა ესა თუ არა—უცნაური სტუმარი გამოემშვიდობა მეფეს. ამ დროს ისეთი ნათელი მოიფინა გარშემო, რომ მიდასმა თვალები ვერ გაუსწორა, დახუჭა. როდესაც ხელ-ახლათ გაახილა თვალები, ოთახში ვეღარავინ ნახა და ადრინდელივით მხოლოთ მკრთალი სინათლეღა იყო.

მეფეს იმ ღამეს ძილი არ მიეკარებია. ის ისე აღელვებული იყო, როგორც ყმაწვილი, რომელსაც ძვირფას სათამაშოს დაჰპირდენ. ჩასთვლემდა თუ არა მაშინვე თვალებს ხელახლათ ახელდა. გათენებისას ხომ სულ აღარ ეკარებოდა ძილი, იგი ხარბათ სწვდებოდა ყველაფერს. მიდასს უნდოდა გაეგო, რასაც ხელს მოჰკიდებდა მართლა ოქროთ გარდაიქცევოდა თუ არა, როგორც უცნაური კაცი დაჰპირდა. იგი ხან ავეჯეუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობას, ხან მაგიდას ახლებდა ხელს. მაგრამ დახეთ მის განცვიფრებას—არაფერ ცვლილებას არ ხედავდა! მეფე შეშინდა, ნუ თუ სხივოსანი სტუმარი და მისი დაპირება – მხოლოთ სიზმარი იყო? ან იქნება სტუმარმა დასცინა? იგი ახლა როგორლა დაკმაყოფილდებოდა თავის მოქირვებით მოპოვებულ ცოტაოდენი სარჩოთი იმ საოცნებო იმედების შემდეგ, რომ მისი ხელის შეხებით ყველაფერი ოქროთ იქცევოდა.

მიდასი ვერ ამჩნევდა, რომ ჯერ გათენებული არ იყო. იგი სასოწარკვეთილებას ეძლეოდა. ჩაწვა ისევ ქვეშაგებში და თავი ნაღველს მისცა. უნდა იმედებს გამოსალმებოდა. უცბათ ოთახი მზემ გაანათა. ზედ მის თავზე ოქროს ფრათ ზოლი გამოჩნდა. მიდასს მოეჩვენა, რომ მისი თეთრი საბანი განათდა რაღაც უცნაური სინათლით; დააცქერდა და ნახა რომ საბანი ოქროს ქსოვილ ფარჩათ გარდიქცა. როგორ გაეხარდა მიდასს დადგა ის დრო და ჟამი, რომ რასაც შეეხებოდა, რასაც ხელს ახლებდა მეფე, ყველაფერი ოქროთ გარდაიქცეოდა, ბედნიერი მიდასი ყველაფერს ეპოტინებოდა. მან მიაკარა ხელი თავის საწოლის ბოძს და ბოძი ოქროს სვეტათ გარდაიქცა. მან გადახსნა ფანჯრის ფარდა რომ კარგათ დაენახა, რაც გარშემო ხდებოდა და ფარდა უცებ დამძიმდა, გარდაიქცა ოქროს ბელტებათ. მეფემ აიღო მაგიდიდან წიგნი, მისი ყდა მაშინვე ოქროთ გარდიქცა. რამდენსაც ფურცლამდა—ყველა ფურცლები ოქროთ გარდაიქცეოდა და წიგნის კითხვა აღარ შეიძლებოდა. მეფემ საჩქაროთ ჩაიცვა ტანისამოსი და აღტაცებაში მოვიდა თავის თავი რომ დაინახა ძვირფას ოქროს მაუდის ტანისამოსში, რომელიც ამასთანავე რბილი და სუბუქი იყო.

მიდასმა ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო თავისი მარიას შეკერილი და ნაჩუქი. ცხვირსახოცი მაშინვე გაბრწყინდა, ყოველი ძაფი, ყოველი ნევსის წვერის ამოღება საყვარელი შვილისა გარდაიქცა ოქროთ.

მეფეს ეს უკანასკნელი შეხება თვალში არ მოუვიდა. მას უნდოდა რთმ მისი ქალიშვილის სახსოვარი დარჩენილიყო ხელ-უხლებლიათ. მოაგონდა, როგორ დაუჯდა საყვარელი გოგონა მუხლებზე და აჩუქა ეს ცხვირსახოცი.

ეს კიდევ არაფერი, ამაზე აღარა ღირს ფიქრი! მიდასმა აიღო წიგნი, გაიკეთა სათვალეები, უნდა წაეკითხნა. შეკრთდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიდასი, სათვალეებში მშვენიერი შუშები ეგულებოდა, მაგრამ ვერას ხედავდა. საქმე იმაში იყო, მან რომ ხელში აიღო სათვალეები—ის გარდაიქცა ოქროს ორ რგოლათ. სათვალეები ძვირფასი გახდა, მაგრამ სახმარებლათ აღარ გამოდგებოდა. არც ეს ეჭაშნიკა მეფეს. ამას იქით სათვალეებს ვეღარ გამოიყენებდა.

— არა უშავს რა, არც ისეთი დიდი უბედურებაა! გაიფიქრა მეფემ. მან გადასწყვიტა ყველაფერი აეტანა. ღირს სათვალეებზე შეწუხდეს კაცი, როდესაც ამოდენა ოქროს შეძენა შეიძლება? ოღონდ თვალები არ გაუფუჭდეს, თორემ უსათვალეებოთაც გასძლებს.—მალე ჩემი ქალიშვილი მომესწრობა და წიგნებს წამიკითხავს ხოლმე.

ბრძენი მეფე აღტაცებული დიდხანს უვლიდა თავის დიდ სასახლეს. ბოლოს ამითიც არ დაკმაყოფილდა, კიბეზე ჩასვლა მოინდომა.

მეფე იღიმებოდა—როდესაც მოაჯირს ხელს შეახებდა თუ არა, მაშინვე ოქროთ იქცეოდა. მან გააღო დაკეტილი ბაღის კარი და კლიტე ოქროთ იქცა. ბაღში დიდ ძალი ვარდი იყო. ზოგი გაშლილი, ზოგი კოკრებათ. მშვენიერი სუნი იდგა. ისეთი საუცხოვო ვარდები იყო, რომ ადამიანი თვალს ვერ მოაშორებდა.

მაგრამ მიდასს ერჩივნა რომ მათ უფრო ფასი ჰქონოდა; იგი სწრაფათ გადადიოდა ერთი ბუჩქიდან მეორესთან და ყოველ ყვავილს, ყოველ კოკორს ეხებოდა და ოქროთ აქცევდა. მან არ მოისვენა, სანამ ყველა ყვავილი ოქროთ არ აქცია. ჭიაც კი, რომელიც მიმალული იყო ვარდის ფოთლებში ისიც კი რა არი, არ დაინდო. საუზმის დრო დადგა. დილის ჰაერმა მადა მოჰგვარა. იგი გაემართა სასახლეში.

მიდასისთვის მომზადებული ცხელ-ცხელი კუპატები, ახალი თევზი, შემწვარი ვარიები, ყავა, თოხლო კვერცხები. პატარა მარიასთვის—კიდევ რძე და შაქრის პურები. მაშინდელ დროში მგონი ამაზე უკეთესი საუზმე წარმოსადგენათაც ძნელი იყო.

პატარა მარია ჯერ სასაუზმეთ არ მოსულიყო. მიდასმა მსახური გაგზავნა მის მოსაყვანათ. მეფეს ძალიან უყვარდა თავისი ქალიშვილი. დღეს იგი სრული ბედნიერი იყო... ამ დროს უცბათ მოესმა ქალიშვილის მწარე ტირილი. ამან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალიან გააკვირვა. პატარა მარია ძალიან მხიარული იყო. მთელი წლის განმავლობაში მისი ცრემლები რომ მოეგროვებინათ, მხოლოთ ერთი სათითის სამყოფი იქნებოდა. მიდასს უნდოდა შვილი გაემხიარულებინა, დასწვდა მის მშვენიერ ფაიფურის ნახატ-ფინჯანს და ფინჯანი ერთ წამს ოქროთ გარდაიქცა.

მარიამ წყნარათ შემოაღო კარი. მას სახე წინსაფარით ჰქონდა აფარებული და ქვითინებდა. მამა მივარდა მას:

— რა დაგემართა, ჩემო პაწიავ?

მარია წინსაფარს სახიდან არ იშორებდა და ისე უჩვენა მამას ოქროს ვარდი.

მიდასმა ჰკითხა:

— რაზე სწუხარ? ეგ ვარდი ხომ უფრო ძვირფასია.

შვილმა ამაზე უპასუხა:

— საყვარელო მამავ, ხედავ ახლა რა საძაგლობაა! მინდოდა თაიგული მომერთმია შენთვის და როგორც კი ავდექი-გავიქეცი ბაღში. შენ ხომ გიყვარს ყვავილები, როდესაც მე მოგიტან ხოლმე, არ ვიცი რა მოხდა! რა უბედურობაა! ვარდები დაჭკნენ, გაფუჭდენ, გაყვითლდენ და სუნი აღარა აქვთ. რა ლამაზები, რა სურნელოვანი იყვენ!

მიდასს შერცხვა, თავისი ბრალი იყო, რომ ამისთანა მწუხარება მიაყენა თავის საყვარელ ქალიშვილს.

— ჩემო თვალის ჩინო, ამაზე არა ღირს ტირილი. დაჯეგ ჩემთან. შეჭამე პური, დალიე რძე. შენ ყოველთვის შეგიძლიან ეგ ძვირფასი ვარდები უბრალოზე გაცვალო. ეს ვარდი ათასი წელიწადიც რომ გავიდეს არ გამოიცვლება და უბრალო ვარდი კი ერთ დღეში დაჭკნება.

მარიამ გაჯავრებით გადააგდო ვარდი. რათ მინდა? ამას სუნი სრულებითაც არა აქვს და მისი ხმელი ფურცლები ცხვირზე მჩხვლეტამენ.

ყმაწვილი მოუჯდა მაგიდას, ჩაფიქრებული იყო და ვერ შეამჩნია თავისი ფინჯნის ცვლილება. იქნება აგრეც სჯობდა, მეფემ დაისხა ყავა, ყავადანი რასაკვირველია ოქროთ იქცა, როგორც კი შეეხო მას. მიდასმა იფიქრა, რომ ამას იქით ოქროს ჭურჭლის ხმარებას თავს დაანებებს და მოინდომა შენახვა, მხოლოთ საკუჭნაოში და სამზარეულოში შესაძლოა დაეკარგოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ფიქრში იყო, რომ კოვზით ყავა პირთან მიიტანა, უნდოდა დაელია, მაგრამ ყავა კოვზზე პატარ-პატარა ოქროს ნაჭრებათ, გარდაიქცა.

— ვაი შენ ჩემო თავო, ეს რა ამბავია! შეჰყვირა შიშით მიდასმა.

— რა დეგემართა, მამავ? ჰკითხა ყმაწვილმა.

ბავშვი გაკვირვებით შესცქეროდა მამას. თვალები ისევ ისე ცრემლებით სავსე ჰქონდა.

— არაფერია, ჩემო პაწიავ! რძე არ გაგიცივდეს.

მეფე დასწვდა პატარა გემრიელ თევზს და საცდელათ თითით მის ბოლოს შეეხო. იგი შეკრთდა. მის წინ ოქროს თევზი იდო, ნამდვილი ოქროსი. თავიც, ბოლოც, ზემოთა ქერქიც, ყველაფერი წმინდა ოქროსი გახდა და ისეთი ხელოვნური, რომ მეფეს მისი მსგავსი არა ენახარა. მაგრამ მეფე ამ წუთას დიდის სიხარულით გასცვლიდა ამ ხელოვნურ სასწაულს უბრალო თევზე, რომლის შეჭმაც შეიძლებოდა.

მეფემ ნაღვლიანათ გაიფიქრა: არ ვიცი როგორღა ვისაუზმებო!

ხელში ცხელი ქადა აიღო და როგორც კი გადატეხა ოქროთ გარდაიქცა. მეფე ახლა კი თავს შეურაცყოფათ გრძნობდა. თითქოს ვიღაც დასცინოდა. მერე კვერცხი აიღო და იმასაც ის ბედი ეწია.

— რა წყალში ჩავარდე! გაიფიქრა მან და შურით გადახედა პატარა მარიას. ყმაწვილი, ვითომ არაფერიაო, რძეში პურს ასველებდა და ისე სჭამდა.

— ჩემ წინ ამისთანა ძვირფასი საუზმეა, და მეკი ვერაფერს ვერა ვჭამ.

(დასასრული იქნება)

ან. წერეთლისა.



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა
თბილისი საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა 1916 წლისათვის.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# სახალხო ფურცელი

გამოვა იმავე პროგრამით, როგორც 1915 წელს გამოდიოდა.

**გაზეთის ფასი დამატებიანათ:** წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 9 მან. 50 კ., საზღვარ-გარედ 15 მ. ნახევარი წლით ტფილისში 5 მან. საზღარ-გარედ 8 მ. ერთი თვით ტფილისში 90 კ., საზღრ გარედ 1 მან. 50 კაპ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური, დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

წლიური ხელის მომწერნი, რომლებიც 1 აპრილამდე სრულად გადაიხდიან წლიურ ფასს, მიიღებენ **პრემიას** ორიგინალურ თხზულებას თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკურ და ეროვნულ მდგომარეობის შესახებ.

ხელის მოწერა მიიღება „სახალხო ფურცლის“ კანტორაში, სასახლის ქ. სარაჯიშვილის სახლი და წერა-კითხვ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, груз. газ. „САХАЛХО ПУРЦЕЛИ“ почтовыщикъ 190

---

მიიღება ხელის მოწერა 1916 წ.

ყოველ-დღიური სალიტერატურო, საეკონომიო და საპოლიტიკო გაზეთი

# „საქართველო“

უპრემიოდ—ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ღირს 8 მან. 50 კ. პრემიით გაზეთი წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 10 მან. ფული ნაწილ-ნაწილად შემოიტანება.

**პრემიები:** 1) სალიტერატურო კრებული „მერანი“, გამოვა სამ თვეში ერთხელ დასურათებული. 2) „საქართველოს“ ბიბლიოთეკა „ჩვენი მწერლობა“, წიგნაკებათ. 3) საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური დიდი რუქა.

ფულის გამოგზავნა და ხელის მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორა ქ. ტფილისი, მოსკოვის ქუჩა, სახლი გაბაშვილისა № 4. ფოსტის ყუთი 76. (Тифлисъ Московская ул. домъ Габаева № 4 ящикъ № 76). და წერა-კითხვის საზოგადოებაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ჯეჯილი

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

## ოცდა მეშვიდე წელიწადი.

ჯეჯილი დაარსებულია 1890 წელს.

---

გამოვა 1916 წ. თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი განყოფილებაა, პატარებისათვის და მოზრდილთათვის.

**ჟურნალი «ჯეჯილი»** თბილისში ეღირება 4 მან., ქალაქ გარეთ (გაგზავნით) **5** მან.

ნახევარი წლით **3** მან., ცალკე ნომერი **40** კაპ.

ხელის მოწერა მიიღება: **თბილისში**—„ჯეჯილის“ რედაქციაში, (არტილერიის ქუჩა, № 5.)

ფოსტის ადრესი: Въ тифлисъ въ Ред. Грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“

---

რედაქციაში იყიდება მალიანი იაფათ

## ძველი წლის ნომრები